

"საქართველოს მუნიციპალური ინდექსი"

საბოლოო შედეგები და რეიტინგი / Scores and ranking



ინიციატორი: „ახალი ეკონომიკური სკოლა“ და „ფონდი ღია საზოგადოება“. პარტნიორი „ლიტვის თავისუფალი ბაზრის ინსტიტუტი“ / **პერიოდი:** 2014 – 2015 წწ. / 2015-2016წწ. მასალები გადაგზავნილია **მიმდინარეობს დათვლა.**

პროექტის მიზანი: ხუთი თვითმმართველი ქალაქის - თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის მუნიციპალიტეტების ფუნქციონირების / მუშაობის ეფექტიანობის ხარისხის შეფასება.

სფეროები: სფეროების შეფასება ხდება 122 მაჩვენებლის მიხედვით, რაც მოიცავს მუნიციპალიტეტების საქმიანობის 10 კატეგორიას: კომუნალური მომსახურება - 10%; ტრანსპორტი - 10%; განათლება - 10%; ჯანმრთელობის დაცვა - 10%; სოციალური უზრუნველყოფა - 10%; ინვესტიციები - 10%; გადასახადები - 10%; ბიუჯეტი - 10%; აქტივების მართვა - 10%; ადმინისტრაციული რესურსების მართვა - 10%.

შედეგები: საბოლოო შედეგების / რეიტინგის მიხედვით **პირველობა მოიპოვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტმა.**

ინფრასტრუქტურა და მშენებლობა

2016 წელი

კაპიტალურად შეკეთდა **204 ქუჩა** (მათი შესახვევებით, ჩიხებით და მონაკვეთებით):

- დაიგო ა/ზეტონის საფარი - 211 305 კვ.მ., საერთო სიგრძით - 17 635 გრძ.მ.;
- დაისხა ბეტონი პრობლემატურ მონაკვეთებზე - 5 000 კუბ.მ. საერთო სიგრძით - 10 235 გრძ.მ..

2015 წელი

კაპიტალურად შეკეთდა **270 ქუჩა** (მათი შესახვევებით, ჩიხებით და მონაკვეთებით):

- დაიგო ა/ზეტონის საფარი - 77 337 კვ.მ. საერთო სიგრძით - 12 437 გრძ.მ.;
- დაისხა ბეტონი პრობლემატურ მონაკვეთებზე - 4 175 კუბ.მ. საერთო სიგრძით - 12 300 გრძ.მ.

2014 წელი

კაპიტალურად შეკეთდა **274 ქუჩა** (მათი შესახვევებით, ჩიხებით და მონაკვეთებით):

- დაიგო ა/ზეტონის საფარი - 143 995 კვ.მ. საერთო სიგრძით - 13 400 გრძ.მ.;
- დაისხა ბეტონი პრობლემატურ მონაკვეთებზე - 3 613 კუბ.მ. საერთო სიგრძით - 12 105 გრძ.მ.

2013 წელი

კაპიტალურად შეკეთდა **64 ქუჩა** (მათი შესახვევებით, ჩიხებით და მონაკვეთებით):

- დაიგო ა/ზეტონის საფარი - 164 434 კვ.მ. საერთო სიგრძით - 15 075 გრძ.მ.



2016 წელს განხორციელდა, დაიწყო და ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

1. მწვანე კონცხის დასახლებაში ბოტანიკურ ბაღთან მისასვლელი ქუჩების გაფართოების სამუშაოები - 2 387 021,11 ლ;
2. მწვანე კონცხის დასახლებაში, ბოტანიკური ბაღის შესასვლელთან არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები - 997 676,98 ლ;
3. დავით აღმაშენებლის და ტბელ აბუსერიძის ქუჩების, დავით აღმაშენებლის და გენ. ა. აბაშიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები - 2 343 343, 00 ლ;
4. ურეხის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები - 1 999 999,00 ლ;
5. წერეთლის ქ. N30-ში მდებარე საბავშვო ბაღის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები - 968 997,02 ლ;
6. დემეტრე თავდადებულის ქუჩის კეთილმოწყობა (გ. ბრწყინვალეს ქუჩიდან მ. ვარშანიძის ქუჩამდე) - 2 775 384,00 ლ;
7. ლერმონტოვის ქუჩის კეთილმოწყობის (ბრწყინვალეს ქუჩიდან ორბელიანის ქუჩამდე) სამუშაოები - 3 821 957,00 ლ.

2015 წელს დაიწყო და განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

1. ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქციის სამუშაოები - 6 317 776,90 ლ;
2. აღმაშენებლისა და გენ. აბაშიძის, აღმაშენებლისა და ტბელ აბუსერიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის უბნის სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები - 2 621 599,65 ლ;
3. სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანების, წყალმზომების დაყენების (დამატებითი სამუშაოები) სამუშაოები - 2 007 624,46 ლ;
4. შ. ხიმშიაშვილის ქუჩის (ჩარმიქლის ქუჩიდან ჟილინის არხამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები - 1 193 000 ლ;
5. მეჯინისწყლის კალაპოტის ამოწმენდა-რეაბილიტაცია - 969 998,00 ლ;
6. ჩაქვის წყლის გადამცემი მაგისტრალის ქალაქის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები - 551 042,6 ლ;
7. ე.წ. "ჭაობის დასახლებაში" ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები - 1 894 104,03 ლ.

2014 წელს დაიწყო და განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

1. ტაბიძის ქუჩის (ლეონიძის ქუჩიდან აღმაშენებლის ქუჩამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები - 3 199 999,00 ლ;
2. სასმელი წყლის აბონენტების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, წყალმზომების დაყენება - 375 290,69 ლ;
3. ქალაქის ქუჩებში ვიდუო-კონტროლის სისტემის დანერგვის სამუშაოები - 1 000 000,00 ლ;
4. ლერმონტოვის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები - 2 049 998,75 ლ;
5. ზ. გორგილაძის ქუჩის გაგრძელება - ჯავახიშვილის ქუჩიდან შარტავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიამდე, ზ. გორგილაძის ქუჩის მონაკვეთის - გრიბოედოვის ქუჩიდან ჯავახიშვილის ქუჩამდე, კეთილმოწყობა - 1 653 893,91 ლ.

2013 წელს დაიწყო და განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

1. ფიროსმანის ქუჩის სარეკონსტრუქციო სამუშაოები - 2 349 500,00 ლ;
2. მ ბარათაშვილის ქუჩის სარეკონსტრუქციო სამუშაოები - 1 009 465,00 ლ;
3. აღმაშენებლის ქუჩის სარეკონსტრუქციო სამუშაოები - 4 741 041 ლ;
4. მჭავჭავაძისა და აბუსერიძის ქუჩებზე ასფალტის საფარის დაგების სამუშაოები - 3 267 143,98 ლ;
5. სარაგბო სტადიონის მშენებლობის სამუშაოები (თანადაფინანსებით) - 3 596 177,54 ლ.



2017 წელს დაგეგმილი სამუშაოები (კაპიტალური)

N	ქუჩების, შესახვევების, ჩიხების რეაბილიტაცია	რაოდენობა	გრძ. მ	ღირებულება
1	ე.წ. "ჭაობის" ქუჩების რეაბილიტაციის 1-ლი ეტაპი	8	4493	4269183,00
2	ე.წ. "ჭაობის" ქუჩების რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი	2	1532	5548941,00
3	ე.წ. "ჭაობის" ქუჩების რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი (ახალი)	13	4212	7996384,00
4	ე.წ. "ჭაობის" ქუჩების რეაბილიტაციის მე-3 ეტაპი	5	2484	4180000,00
5	ბარცხანის დასახლების ქუჩების რეაბილიტაცია	18	6230	2718117,00
6	ბონის დასახლების რეაბილიტაცია	19	4704	2396905,00
7	კახაბრის დასახლების ქუჩების რეაბილიტაცია	5	3562	1903063,00
8	სამრეწველო დასახლების ქუჩების რეაბილიტაცია	4	1890	942630,00
სულ		74	29107	29955223,00

N	ბეტონის საფარის დაგება		გრძ.მ	ღირებულება
1	კახაბრის, მწვანე კონცხის, გონიო-კვარიათის დასახლებების გზების პრობლემატური მონაკვეთები		6579	250000,00

N	გარე განათების მოწყობა	ქუჩების რაოდენობა	წერტი (ცალი)	ღირებულება
1	ბაგრატიონის დასახლებაში გარე განათების მოწყობა	1	41	131111,00
2	მწვანე კონცხის დასახლებაში გარე განათების მოწყობა	4	55	107618,00
3	აეროპორტის დასახლებაში გარე განათების მოწყობა	4	33	63365,00
4	გონიო-კვარიათის დასახლებაში გარე განათების მოწყობა	9	142	154409,00
5	კახაბრის დასახლებაში გარე განათების მოწყობა	33	1191	1306637,00
6	მწვანე კონცხის დასახლებაში გარე განათების მოწყობა	11	127	146601,00
სულ		62	1589	1909741,00

N	თაღის განათება		გრძ.მ	ღირებულება
1	აბუსერიძისა და შარტავას ქუჩების კვეთაში არსებული დეკორატიული თაღის განათება		380	39188,00

N	სანიაღვრე სისტემის მოწყობა	ქუჩების რაოდენობა	გრძ.მ	ღირებულება
1	მწვ. კონცხის დასახლებაში სანიაღვრე სისტემის მოწყობა	11	1451	809671,00
2	გონიოს დასახლებაში სანიაღვრე სისტემის მოწყობა	1	75	33400,00
3	აეროპორტის დასახლებაში სანიაღვრე სისტემის მოწყობა	1	94	33900,00
4	კახაბრის დასახლებაში სანიაღვრე სისტემის მოწყობა	8	2555	1593221,00
სულ		21	4175	2470192,00

N	სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა	რაოდენობა	კვ.მ	ღირებულება
1	ავსაროსის ქუჩის მე-3 შესახვევში არსებული სპორტული მოედნის კაპიტალური რეკონსტრუქცია და რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მოედნისა და მოედანთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა	2	7282	854071,00

საბავშვო ბაღების მშენებლობა და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები პერიოდი: 2013-2016 წ.წ.

2016 წელი / 3 268 738,00 ლარი / ჯგუფი 20 / ბავშვი 700

- ურეხის დასახლებაში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა **1 999 999,00 ლარი / ჯგუფი 9 / ბავშვი 315**
- წერეთლის ქ. N30-ში მდებარე N12 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი **968 997,00 ლარი / ჯგუფი 8 / ბავშვი 280**
- მაზნიაშვილის ქუჩაზე მდებარე N5 საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები **299 742,00 ლარი / ჯგუფი 3 / ბავშვი 105**

საბავშვო ბაღების მშენებლობის, შენობა-ნაგებობების საბავშვო ბაღად გადაკეთების და სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა 2013-2016 წლებში შეადგენს - 11 604 758,07 ლარს / 122 ჯგუფს / 4 270 ბავშვს

- ახალი საბავშვო ბაღი - 4
- ბაღის რეკონსტრუქცია დაშენებით - 6
- შენობის საბავშვო ბაღად გადაკეთება - 2
- ბაღის შენობის რეაბილიტაცია - 4

2015 წელი / 3 566 321,45 ლარი / ჯგუფი 56 / ბავშვი 1 960

- ტაბიძის ქ. N14-ში მდებარე შენობის საბავშვო ბაღად გადაკეთების სამუშაოები **921092,51 ლ. / ჯგუფი 10 / ბავშვი 350**
- სამრეწველო უბანში მდებარე N23 საბავშვო ბაღის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები **279 965,00 ლარი / ჯგუფი 7 / ბავშვი 245**

- სამრეწველო უბანში მდებარე N24 საბავშვო ბაღის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები **214 400,25 ლარი / ჯგუფი 8 / ბავშვი 280**

- მელიქიშვილის ქ. N104-ში მდებარე N17 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები **255 095,99 ლარი / ჯგუფი 7 / ბავშვი 245**

- პუშკინის ქუჩაზე მდებარე N16 საბავშვო ბაღის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები **95 770,00 ლარი / ჯგუფი 8 / ბავშვი 280**

- შაფათავას (ანდრონიკაშვილის) ქუჩაზე N13 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები **799 998,70 ლარი / ჯგუფი 8 / ბავშვი 280**

- კახაბრის დასახლებაში ფ. ხალვაშის XII ჩიხში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები **999 999,00 ლარი / ჯგუფი 8 / ბავშვი 280**

2014 წელი / 1 979 678,62 ლარი / ჯგუფი 23 / ბავშვი 805

- ნონეშვილის ქუჩა N60-ში შენობა-ნაგებობის საბავშვო ბაღის შენობად გადაკეთება და სართულის დაშენება **939 493,96 ლარი / ჯგუფი 8 / ბავშვი 280**

- ინასარიძის ქ. N4ა-ში მდებარე N8 საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია - **629 999,00 ლარი / ჯგუფი 11 / ბავშვი 385**

- გონიოში შენობა-ნაგებობის N29 საბავშვო ბაღის შენობად გადაკეთება და სართულის დაშენება **410 185,66 ლარი / ჯგუფი 4 / ბავშვი 140**

2013 წელი / 2 790 020,00 / ჯგუფი 23 / ბავშვი 805

- ინასარიძის ქ. N22ა-ში მდებარე N6 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო-დაშენების სამუშაოები **758 000,00 ლარი / ჯგუფი 11 / ბავშვი 385**



- ფერაძის ქუჩაზე, ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ, N27 საბავშვო ბაღის მშენებლობა **1 032 769,00 ლარი / ჯგუფი 6 / ბავშვი 210**

- კოტე აფხაზის ქუჩაზე (ადლია) N28 საბავშვო ბაღის მშენებლობა **999 251,00 ლარი / ჯგუფი 6 / ბავშვი 210**

წელი	თანხა
2013	2 790 020,00
2014	1 979 678,62
2015	3 566 321,45
2016	3 268 738,00
	11 604 758,07



წელი	ჯგუფი	აღსაზრდელი
2013	23	805
2014	23	805
2015	56	1960
2016	20	700
	122	4270



სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია 2014-2016 წწ.

2016 წელი / 6 182 117,51 ლარი

- ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობა **4 899 998,60 ლარი** (მიმდინარე)
- სპორტული ტრენაჟორების შეძენა-მონტაჟი, 7 კომპლექტი (1 კომპ × 10 ცალი) **89 942,00 ლარი** (მიმდინარე)
- სპორტული მინი სტადიონების კაპიტალური შეკეთება **495 726,27 ლარი** (მიმდინარე)
- სპორტული მინი სტადიონების კაპიტალური შეკეთება **329 544,05 ლარი** (მიმდინარე)
- სპორტული მინი სტადიონების კაპიტალური შეკეთება **366 906,59 ლარი** (მიმდინარე)
- სულ დაგეგმილია 40 სპორტული მინი სტადიონის კაპიტალური შეკეთება, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 1 192 176,91 ლარს

სასპორტო და დასვენების ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხა 2013-2016 წლებში შეადგენს **7 509 352,08 ლარს**:

- ახალი სპორტული ბაზა (დაგეგმილი) - 1;
- ახალი მინი სპორტული მოედანი - 4;
- სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - 7;
- მინი-მოედნის კაპიტალური შეკეთება - 40.


2015 წელი / 444 586,11 ლარი

- ფ. ხალვაშის გამზირი N162-თან არსებული მინი-სტადიონის კაპიტალური შეკეთება **53 391,59 ლარი**
- კახაბრის ქ. N1-თან არსებული მინი-სტადიონის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები **65 114,19 ლარი**
- ანდრია პირველწოდებულის 1-ლი ჩიხი №20-ში მდებარე სპორტული მოედნის, გასახდელებისა და საშხაპეების რეაბილიტაცია **72 861,46 ლარი**
- ბარცხანას დასახლებაში, ბენზინგასამართი სადგურის „სოკარი“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე დიდი ზომის სპორტული მოედნის მოწყობა **173 669,52 ლარი**
- ვაჟა ფშაველასა და ბესიკის ქუჩების კვეთაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა **79 549,35 ლარი**

2014 წელი / 882 648,46 ლარი

- ანდრია პირველწოდებულის IX ჩიხში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია **59 724,53 ლარი**
- რუსთაველის ქ. N57-59-61 საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა **138 016,61 ლარი**
- ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე საცხოვრებელ კომპლექსს "მაგნოლია"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქვიშის მოედნის კეთილმოწყობა **211 151,19 ლარი**
- მაჭახელას ქ. N77-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მინი-მოედნის მოწყობა **65 802,65 ლარი**
- მცირე ზომის ყინულის მოედნის მრავალფუნქციურ სპორტულ დარბაზად გადაკეთება **314 828,98 ლარი**
- ზღვისპირა ზოლში ქვიშის საფარიან სპორტულ სტადიონზე ანაკრები ლითონ-კონსტრუქციებით ტრიბუნების მოწყობა **93 124,5 ლარი**

წელი	თანხა
2014	882 648,46
2015	444 586,11
2016	6 182 117,51
სულ	7 509 352,08



გარე განათების რეაბილიტაცია / 2016 წელი / 139 973,54

- ქუჩა - 24
- განათების ბოძი - 239
- დიოდური სანათი - 364

გარე განათების რეაბილიტაციისათვის დაფინანსება 2013-2016 წლებში შეადგენს - 2 265 193,35 ლარს

- ქუჩა - 149
- განათების ბოძი - 2 616
- დიოდური სანათი - 2 741

2015 წელი / 881 253,36 ლარი

- ქუჩა - 74
- განათების ბოძი - 1 111
- დიოდური სანათი - 1 111

2014 წელი / 342 592,89 ლარი

- ქუჩა - 27
- განათების ბოძი - 520
- დიოდური სანათი - 520

2013 წელი / 901 373,56 ლარი

- ქუჩა - 24
- განათების ბოძი - 746
- დიოდური სანათი - 746

წელი	თანხა
2013	901 373,56
2014	342 592,89
2015	881 253,36
2016	139 973,54
სულ	2 265 193,35



სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია / კომუნალური ინფრასტრუქტურა

(2013-2016 წლებში სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 15 247 727,10 ლარი)

2016 წელი

- ჟილინის არხის კაპიტალური რეკონსტრუქციის სამუშაოები 6 609 636,07 ლარი

2015 წელი / 4 778 846,24 ლარი

- ქ. ბათუმში მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები 149 041,58 ლარი

- თამარის დასახლება სახლი N1 და სახლი N3 მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემის რეკონსტრუქციის სამუშაოები **104 577,46 ლარი**
- კახაბრის ერთეულში, მუსხელიშვილის ქუჩა N103-ში, წვიმისა და მეწყერული პროცესების შედეგად წარმოშობილი საშიშროების ასარიდებლად მდინარესთან საყრდენი კედლის გამაგრებისა და მ. აჭარელის III შესახვევი N14-ა-ში წყალამრიდი სამუშაოები **27 206,80 ლარი**
- აღმაშენებლისა და გენ. აბაშიძის, აღმაშენებლისა და ტბ. აბუსერიძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის უბნის სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები **2 515 594,71 ლარი**
- კახაბრის ქუჩის მონაკვეთის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები **150 263,81 ლარი**
- ანდრია პირველწოდებულის VI ჩიხში არსებული სანიაღვრე არხის რკონსტრუქციის სამუშაოები **96 524,77 ლარი**
- წმინდა ნინოს და სვიმონ კანანელის ქუჩების კვეთაში, აფსაროსის გზატკეცილის I შესახვევი N30 სახლის მიმდებარედ, ანდრია პირველწოდებულის III შესახვევში სანიაღვრე არხების რეკონსტრუქცია **67 699,05 ლარი**
- აღმაშენებლისა და ბაგრატიონის ქუჩების კვეთაში, ურეხის I შესახვევში, ნაჭყებიას ქუჩის, მ. ლებანიძის ქ. N1-დან N21-მდე, ზედაღელის დასახლება N14-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხების რეკონსტრუქცია **83 356,98 ლარი**
- კაზინეცის ქუჩაზე, ტბეთის ქ. N18-ის მოპირდაპირედ, მაიაკოვსკისა და სახოკიას ქუჩების კვეთაში სანიაღვრე არხების მოწყობის და რეკონსტრუქციის, სვიშვესკის შესახვევში გაბიონის მოწყობის სამუშაოები **63 274,27 ლარი**
- წმ. ევდემოზ დიასამიძის ქუჩის სანიაღვრე არხისა და გარე განათების მოწყობის სამუშაოები **100 644,29 ლარი**
- ხახულის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე კალაპოტის ამოწმენდა-რეაბილიტაციის სამუშაოები **281 347,58 ლარი**
- მეჯინისწყლის კალაპოტის ამოწმენდა-რეაბილიტაცია **939 574,42 ლარი**
- გენ ა. აბაშიძის ქ. N68-დან ვარშანიძის ქუჩამდე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები **41 740,52 ლარი**
- სანიაღვრე ჭის სახურავების შეძენა **158 000,00 ლარი**

2014 წელი / 3 715 555,76 ლარი

- შ. ხიმშიაშვილის ქ. N68, 70, 72, 74, 76 საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე დატბორვის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი სამუშაოები (სანიაღვრე არხისა და გზის რეკონსტრუქცია) **26 501,30 ლარი**
- აეროპორტის დასახლებაში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩისა და აეროპორტის გზატკეცილის დამაკავშირებელი ახალი ქუჩის მიმდებარედ, სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები **126 997,57 ლარი**
- მესხეთის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები **162 271,64 ლარი**
- მარეთის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები **32 212,60 ლარი**
- მაჭახლის ქ. N77-ში სანიაღვრე არხის დაზიანებული კედლის აღდგენის სამუშაოები **15 255,93 ლარი**
- ნინოშვილის ქუჩაზე მთავარი სანიაღვრე კოლექტორის, არხის, ლითონის ფარის საერთო მშენებლობა **3193510,70 ლ.**
- მესხეთის II ჩიხის სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები **6 416,46 ლარი**
- მარუხის ქუჩის სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები **63 088,36 ლარი**
- ფრიდონ ხალვაშის ქ. N131 და მაჭახლის ქუჩის დასაწყისში სანიაღვრე სისტემის მოწყობა **61 269,12 ლარი**
- გრიბოედოვის ქ. N2-ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები **28 032,08 ლარი**

2013 წელი / 143 689,03 ლარი

- ნონეშვილის ქ. N76 საცხოვრებელ სახლთან სანიაღვრე სისტემის რეკონსტრუქციის სამუშაოები **26 035,52 ლარი**
- სესილია თაყაიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები **58 505,77 ლარი**
- ჰელიმიშის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები **59 147,74 ლარი**



პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა 2013 -2016 წწ.

2016 წელი / 1 971 091,72 ლარი

- ლერმონტოვის ქუჩაზე შინდისის გმირების სკვერის მოწყობა **1 884 895,89 ლარი**
- სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N39-ს მიმდებარე სკვერის კეთილმოწყობა **86 195,83 ლარი**

პარკების, სკვერების, მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხა 2013-2016 წლებში შეადგენს - 6 534 893,13 ლარს

ახალი სკვერი - 6

კეთილმოწყობილი სკვერი - 8

2015 წელი / 423 952,06 ლარი

- ჯავახიშვილის ქ. N70, N72 და N74-ის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა **155 235,58 ლარი**
- ფრიდონ ხალვაშის ქუჩის N322-ის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა **52 338,32 ლარი**
- თავდადებულისა და ბესიკის ქუჩების კვეთაში არსებული სტადიონის გადატანა და მის ადგილას სკვერის მოწყობა **172 786,01 ლარი**
- ი. ჯინჭარაძის სახელობის სკვერის კეთილმოწყობა **43 592,15 ლარი**

2014 წელი / 509 591,43 ლარი

- ახალი ბულვარიდან კვარიათამდე ფეხით მოსიარულეთა ზღვისპირა ბილიკის აღდგენა **90 917,51 ლარი**
- ახალი ბულვარიდან კვარიათამდე დაზიანებული განათების აღდგენა **9 392,72 ლარი**
- ზ. გორგილაძის ქუჩაზე მუზეუმის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა **159 865,56 ლარი**
- ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში გზაგამყოფ ზოლში (სკვერში) დეკორატიული ფილებისა და ბაზალტის ბორდიურების მოწყობა **9 307,37 ლარი**
- ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის კვეთაში, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სკვერის და ტროტუარის კეთილმოწყობა **190 103,27 ლარი**
- საზაფხულო თეატრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (პარკის რეაბილიტაცია) **50 005,00 ლარი**

2013 წელი / 3 630 257,92 ლარი

- ინასარიძის ქუჩაზე „ამაღლების სკვერის" კეთილმოწყობა **74 122,14 ლარი**
- ჭავჭავაძის ქუჩის დასაწყისში გზაგამყოფ ზოლში სკვერის მოწყობა **20 981,29 ლარი**
- ფიროსმანის ქუჩაზე ნიკო ფიროსმანის სახელობის სკვერის მოწყობა **17 909,90 ლარი**
- ზ. გორგილაძის ქუჩაზე მდებარე სკვერის კეთილმოწყობა **41 510,80 ლარი**
- გრიბოედოვის და გორგასალის ქუჩების კვეთაში მდებარე სკვერის კეთილმოწყობა **77 008,40 ლარი**
- ზღვისპირა ბილიკის მშენებლობა **3 398 725,39 ლარი**

წელი	თანხა
2013	3 630 257,92
2014	509 591,43
2015	423 952,06
2016	1 971 091,72
სულ	6 534 893,13



2015 წელს გაცემული მშენებლობის ნებართვები:

- მრ/ზ. საცხოვრებელი სახლი -- 149;
- ინდ. საცხოვრებელი სახლი -- 160;
- საზოგადოებრივი ობიექტი -- 129;
- სასტუმრო -- 20.


2016 წელს გაცემული მშენებლობის ნებართვები:

- მრ/ზ საცხოვრებელი სახლი -- 291;
- ინდ. საცხოვრებელი სახლი -- 273;
- საზოგ. ობიექტი - 70 / მრავალფუნქციური - 93;
- სასტუმრო -- 58.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა / ბათუმის „კორპუსი“ - 2016 წელი

- 25 მისამართზე გადაიხურა სახურავი
- 26 მისამართზე გამოიცვალა სარდაფის კანალიზაცია
- 12 მისამართზე შეკეთდა ლიფტი
- 10 მისამართზე დამონტაჟდა ახალი ლიფტი
- 326 ცალი ფანჩატური დაიდგა
- 1270 ცალი სკამი დაიდგა
- 20 მისამართზე მოეწყო ახალი საბავშვო ატრაქციონი კაუჩუკის მოედნით
- 36 მისამართზე მოეწყო ახალი საბავშვო ატრაქციონი
- 18 მისამართზე რეაბილიტაცია ჩატარდა საბავშვო ატრაქციონებს
- 100 წყვილი საქანელას სკამის ჯაჭვები შეკეთდა
- 74 მისამართზე დამონტაჟდა სასმელი წყლის შადრევანი
- 48 მისამართზე დაიგო ასფალტი საფარი
- 48 მისამართზე დაიგო ფილები
- 3 მისამართზე დაიგო ბეტონის საფარი
- 38 საბავშვო ატრაქციონის მოედნის შეკეთება-მოწყობა და არსებული საბავშვო ატრაქციონების მოედანზე ყვითელი ქვიშის ჩაყრა-მოსწორება განხორციელდა
- 2100 მ²-ზე მოეწყო მწვანე კორდი
- 41 მისამართზე დამონტაჟდა 47 ბარიერი
- 39 მისამართზე განხორციელდა ეზოს კომუნალური სისტემის რეაბილიტაცია და მოპირკეთება
- 1540 სენსორული განათების მონტაჟი
- 35 მისამართზე საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოებში მოეწყო 95 რკინის კარები ელექტრო კოდირებული საკეტი
- 13 მისამართზე მოეწყო ეზოების გარე განათება
- 250 მისამართზე დამონტაჟდა მისამართის აღმნიშვნელი ფირნიშები
- განხორციელდა საცხოვრებელი სახლების კიბეებისა და აივნების, საცხოვრებელი კორპუსების გამაგრებითი სამუშაოები, მოეწყო დამცავი კედლები.
- 32 სახურავზე მოეწყო თოვლდამჭერი კონსტრუქცია
- 88 მისამართზე შეიცვალა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებზე დაზიანებული წყალშემკრები ღარებისა და წყალსაწრეტი მილების შეცვლა (ტენდერით)
- ა(ა)იპ ბათუმის კორპუსის თანამშრომლების მიერ შეიცვალა:
1513 გრძ.მ წყალშემკრები ღარი.
645 გრძ.მ წყალსაწრეტი მილი.
61 ერთეული დაზიანებული ფანჩატურის კაპიტალური შეკეთება
84 ერთეული დაზიანებული სკამის კაპიტალური შეკეთება
10 დაზიანებული მინი სტადიონის მიმდინარე შეკეთება





2015 წელი

- 40 მისამართზე გადაიხურა სახურავი
- 33 მისამართზე გამოიცვალა სარდაფის კანალიზაცია
- 26 მისამართზე შეკეთდა ლიფტი
- 8 მისამართზე დამონტაჟდა ახალი ლიფტი
- 100 ცალი ფანჩატური დაიდგა
- 680 ცალი სკამი დაიდგა
- 40 წყვილი საქანელას სკამის ჯაჭვები შეკეთდა
- 48 მისამართზე დამონტაჟდა სასმელი წყლის შადრევანი
- 13 400მ²-ზე დაიგო ასფალტი საფარი
- 7 200მ² დაიგო ფილები
- 20 საბავშვო ატრაქციონის მოედნის შეკეთება-მოწყობა და არსებული საბავშვო ატრაქციონების მოედანზე ყვითელი ქვიშის ჩაყრა-მოსწორება განხორციელდა
- 1000 მ²-ზე მოეწყო მწვანე კორდი
- 1300 გრძ/მ ბირდიური მოეწყო
- 53 მისამართზე დამონტაჟდა 65 ბარიერი
- 27 მისამართზე განხორციელდა ეზოს კომუნალური სისტემის რეაბილიტაცია და მოპირკეთება
- 660 სენსორული განათების მონტაჟი
- 87 მისამართზე მოეწყო ეზოების გარე განათება
- 14 მინი სტადიონი შეკეთდა კაპიტალურად
- განხორციელდა საცხოვრებელი სახლების კიბეებისა და აივნების, საცხოვრებელი კორპუსების გამაგრებითი სამუშაოები, მოეწყო დამცავი კედლები.
- ა(ა)იპ ბათუმის კორპუსის თანამშრომლების მიერ შეიცვალა:
- 21 სახლზე დაზიანებული წყალშემკრები ღარებისა და წყალსაწრეტი მილების შეცვლა
- 27 ერთეული დაზიანებული ფანჩატურის კაპიტალური შეკეთება
- 39 ერთეული დაზიანებული სკამის კაპიტალური შეკეთება
- 13 დაზიანებული მინი სტადიონის მიმდინარე შეკეთება
- 5 დაზიანებული საბავშვო ატრაქციონის შეკეთება

2014 წელი

- 41 მისამართზე გადაიხურა სახურავი
- 15 მისამართზე გამოიცვალა სარდაფის კანალიზაცია
- 13 მისამართზე შეკეთდა ლიფტი
- 1 მისამართზე დამონტაჟდა ახალი ლიფტი
- 135 ცალი ფანჩატური დაიდგა
- 270 ცალი სკამი დაიდგა
- 13 000მ²-ზე დაიგო ასფალტი საფარი
- 14 600მ² დაიგო ფილები
- 11 მისამართზე განხორციელდა ეზოს კომუნალური სისტემის რეაბილიტაცია და მოპირკეთება
- 1272 სენსორული განათების მონტაჟი
- 43 მისამართზე მოეწყო ეზოების გარე განათება
- 77 მისამართზე დამონტაჟდა მისამართის აღმნიშვნელი ფირნიშები

➤ ა(ა)იპ ბათუმის კორპუსის თანამშრომლების მიერ შეიცვალა:

24 სახლზე დაზიანებული სახურავის შეკეთება

1510,3 გრძ.მ წყალშემკრები ღარი.

98,78 გრძ.მ წყალსაწრეტი მილი.

27 ერთეული დაზიანებული ფანჯატურის კაპიტალური შეკეთება

53 ერთეული დაზიანებული სკამის კაპიტალური შეკეთება

21 დაზიანებული მინი სტადიონის მიმდინარე შეკეთება

3 დაზიანებული საბავშვო ატრაქციონის შეკეთება

80 დაზიანებული საქანელას შეკეთება

32 მინი სტადიონზე განათების მოწყობა

ეკონომიკა და ბიზნესის ხელშეწყობა

1. 2011 წელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი მიუერთდა „მერების შეთანხმების“ ევროპულ ინიციატივას და აიღო ნებაყოფლობითი ვალდებულება თავის სამოქმედო ტერიტორიაზე 2020 წლამდე მინიმუმ **20%-ით შეამციროს სათბურის აირების ემისია**. 2014 წელს ოფიციალურად დაამტკიცა „ქ. ბათუმის მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს 2020 წლამდე ქ. ბათუმის ტერიტორიაზე, საბაზისო სცენართან შედარებით, **სათბურის აირების 22%-ით შემცირებას** კონკრეტული ღონისძიებების გატარებით ისეთ სფეროებში, როგორიც არის: **შენობები, ურბანული ტრანსპორტი, გარე განათება, მუნიციპალური ნარჩენები, ჩამდინარე წყლები და გამწვანება**. აღნიშნული გეგმის შესაბამისად, საერთაშორისო თანამშრომლობით განხორციელდა და მიმდინარეობს:

➤ „განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის პროექტი საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის“ - დაფინანსებული BP-საქართველოს მიერ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ლერმონტოვის ქუჩაზე არსებულ მერიის **ადმინისტრაციულ შენობაში განხორციელდა გათბობა-გაგრილების სისტემის მოდერნიზაცია**, არსებულ სისტემას დაემატა „ჰაერი-წყალი“ ტიპის თბური ტუმბოები და სხვა მოწყობილობები. პროექტი განახორციელა კავშირმა „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით;

➤ „სუფთა ენერგიის პროგრამა“ - გარე განათების სადემონსტრაციო პროექტი - USAID/Winrock თანამშრომლობის ფარგლებში, USAID-ის გრანტით განხორციელდა **136 ერთეული ენერგოეფექტური გარე განათების სანათის დამონტაჟება** გორგილაძის ქუჩაზე. პროექტის ჯამური ღირებულებაა 880 000 აშშ დოლარი. პროექტის თანამონაწილეობისათვის, ქ. ბათუმის მერიის მიერ განხორციელდა გორგილაძის ქუჩის გაგრძელებისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, ასევე მოეწყო შინდისის გმირების სახელობის სკვერი. სკვერი გაშენებულია 4 ჰა ფართობზე და ადაპტირებულია ევროსტანდარტების შესაბამისად;

➤ **ენერგოეფექტურობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შენობებისათვის** - პროექტი ხორციელდება გერმანიის განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი 300 000 ევროს გრანტის ფარგლებში და ითვალისწინებს ენერგო ეფექტურობის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებას შერჩეულ **შენობებში დათბუნების, გათბობა/გაგრილებისა და ენერგიის შესაბამისი წყაროების გამოყენების გათვალისწინებით**. უნდა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შენობების ბაზის შექმნა, აღნიშნული ბაზიდან დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად **1 მრავალსართულიანი საცხოვრებელი და 29 საზოგადოებრივი/მუნიციპალური შენობის შერჩევა** ენერგო აუდიტისათვის მომზადებისა და შემდგომში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ასევე საინვესტიციო სქემების შეთავაზება აღნიშნულ შენობებში ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დასაფინანსებლად. პროექტი ასევე ითვალისწინებს მდგრადი ურბანული განვითარების დაგეგმვისათვის კონცეპტუალური ჩარჩოს, პოლიტიკისა და ღონისძიებების შეთავაზებას (ბათუმის მახასიათებლებისა და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად) და პროექტის განსახორციელებლად ქალაქ ბათუმის მერიის შესაძლებლობათა გაძლიერებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო ტენდერი გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროცედურების შესაბამისად, სადაც გამოვლინდა გამარჯვებული საერთაშორისო კომპანია Fichtner-ი. მიმდინარე ეტაპისათვის შედგენილია მუნიციპალური შენობების გრძელი და მოკლე სია, სადაც მიმდინარეობს ენერგო აუდიტები აღნიშნული შენობების ენერგიის მოხმარების შესაფასებლად. პროექტის დასრულება 2017 წლის თებერვლის თვეშია განსაზღვრული;

➤ „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ (WMTR) - პროექტი ხორციელდება USAID -სა და CENN თან თანამშრომლობით. პროექტის ფარგლებში, ქ. ბათუმი დამეგობრებულია აშშ ქალაქ გოლდენტან. პროექტით

განსაზღვრულია ქ. ბათუმისათვის წყაროსთან **სეპარაციის დანერგვის ხელშეწყობა** ქ. გოლდენის გამოცდილების გაზიარებით და დახმარება ნარჩენების მართვის 5 წლიანი მუნიციპალური გეგმის შემუშავებაში;

➤ **ინტეგრირებული მდგრადი სატრანსპორტო სისტემების განვითარება ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის** - პროექტის მიზანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მდგრადი და ინტეგრირებული **მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემების და მობილობის გეგმების განვითარების ხელშეწყობა**, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის ჩამოყალიბებას ეროვნულ დონეზე და მწვანე ურბანული განვითარების პოლიტიკისა და მექანიზმების ფორმირებას. პროექტის მთავარი ამოცანის მისაღწევად დაგეგმილია ოთხი ძირითადი კომპონენტის განხორციელება, კერძოდ:

- I. **ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის შემუშავება** ქალაქ ბათუმისათვის;
- II. **დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) დასაბუთებისა და ფუნქციონალური გეგმების შემუშავება** ქალაქ ბათუმში დაბალემისიანი ტრანსპორტის განვითარებისათვის;
- III. **პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მხარდაჭერა** ქალაქ ბათუმში მდგრადი ურბანული სატრანსპორტო სისტემის დანერგვისათვის;
- IV. **დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) დასაბუთებისა და ფუნქციონალური გეგმების შემუშავება** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებისათვის. მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის ფორმირების ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე.

2. **პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებით.** პარტნიორები არიან საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია. მიმდინარე პერიოდისათვის განხორციელდა შინამეურნეობების **მასშტაბური გამოკითხვა კარდაკარის პრინციპით**, რომელიც მოიცავს ქალაქის მასშტაბით **1,500 ოჯახს, მათი სატრანსპორტო ქცევის შესწავლის მიზნით**. ქალაქის 45 საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტზე განხორციელდა მგზავრთნაკადების დათვლა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას გადაეცა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ შეძენილი ტრანსპორტის მოდელირების პროგრამული უზრუნველყოფა და აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებასთან დაკავშირებით გადამზადდა ქ. ბათუმის მერიის შესაბამისი თანამშრომლები. პროგრამის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გამოცხადებულ **საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული გერმანული კომპანია A+S Consult-ი მოამზადებს ქალაქ ბათუმის სატრანსპორტო მოდელს**, ბათუმის ინტეგრირებული მდგრადი ურბანული მობილობის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას, **პარკირების სტრატეგიასა და პოლიტიკას, ველოსისტემის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპტიმიზაციის გეგმებს**. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში მომზადდება სატრანსპორტო ღონისძიებების გეგმა სადემონსტრაციო სატრანსპორტო დერეფნებისათვის - ბარათაშვილი-გორგილაძე, ჭავჭავაძე-აბუსერიძის ქუჩები. კვლევების დასრულების შემდგომ, გაეროს განვითარების პროგრამა ქ. ბათუმის მერიას გადმოსცემს დაახლოებით 250 000 აშშ დოლარ გრანტს საპილოტე ღონისძიებების თანადაფინანსების მიზნით.

3. **ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების შემოთავაზებისა და ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობა/მართვის უზრუნველსაყოფად ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე გამოცხადებულია „ინტერესთა გამოხატვა“.** გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსდა საექსპერტო მომსახურება. **გამოცხადდა ტენდერი** და შეირჩა ნარჩენების ტექნოლოგიების ექსპერტი - ირაკლი ლეგაშვილი. აღნიშნული კონკურსი ორ ეტაპად განხორციელდა. ორივე ეტაპისათვის კომისიამ შეიმუშავა მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები. **პირველ ეტაპზე** კომისიამ შეაფასა დაინტერესებული 4 კომპანიის გამოცდილება და შესაძლებლობები ნარჩენების გადამამუშავების მიმართულებით. **მეორე ეტაპზე** 3-მა კომპანიამ წარმოადგინა დოკუმენტაცია. ამჟამად კომისია განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია USAID-ის „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“ პროექტის მხარდაჭერით, ქ. ბათუმი ჩაერთო **საქართველოს ღია მმართველობის პარტნიორობაში (OGP)** და 2016-2017 წლებისთვის OGP-ის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული იქნა ვალდებულება, რომელიც ადგილობრივ დონეზე **საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს**.

5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია **USAID/GGI** თანამშრომლობით დაიწყო მუშაობა **ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე**. აღნიშნული გეგმის მომზადებისათვის ქ. ბათუმის მერის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი მერიის ყველა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით. ამჟამად მიმდინარეობს არსებული სიტუაციის კვლევის მომზადება.

6. ქ. ბათუმი ჩართულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმი, პარტნიორ ქალაქ როსტოკთან ერთად 4 წლის განმავლობაში მუშაობდა ქალაქის განვითარების გეგმის მეთოდოლოგიაზე. 2016 წელს დასრულდა აღნიშნული პროექტის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპზე თანამშრომლობა 2 წლის განმავლობაში გაგრძელდება ქალაქ როსტოკის მიერ ქ. ბათუმისათვის საექსპერტო და ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერით ქალაქის განვითარების გეგმის შედგენის, ნარჩენების მართვისა და ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

7. 2016 წლის 27 ოქტომბერს, ქ. ბათუმის მერიამ ორგანიზაცია „ოქსფამთან“ მის პარტნიორებთან ერთად „ბრიჯ-ინოვაცია და განვითარება“ და „შავი ზღვის ეკო კადემია“, უმასპინძლა მედეგობის პირველ ფორუმს. ინიციატივის ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს კატასტროფების რისკის შემცირების საკითხებთან მიმართებაში ჩამოყალიბებულ რეგიონალურ და ეროვნულ სტრატეგიის განხორციელებას, ასევე აღებული საერთაშორისო ვალდებულებების, კერძოდ სენდაი 2015-2030 წლების ჩარჩო-პროგრამის (Sendai Framework for Disaster Risk Reduction 2015-2030 Sendai) და 2030 მდგრადი განვითარების ამოცანების შესრულებას. ასევე, ნაცადი წარმატებული მოდელების ადვოკატირებას, რათა მოხდეს ამ მოდელების რეპლიკაცია და უფრო ფართოდ დანერგვა.

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება

1. ბათუმს ეყოლება ახალი მუნიციპალური 10 ერთეული ელექტრო და 20 ერთეული ევრო 5 დიზელის ძრავზე მომუშავე ავტობუსები. აღნიშნულ პროექტზე მუნიციპალიტეტი ბათუმის ავტოტრანსპორტთან ერთად მუშაობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენაზე მუშაობა. ახალი ელექტრო ავტობუსები იმოდრავებენ აეროპორტიდან რკინიგზის სადგურის მიმართულებით.

2. განთავსდა ახალი საინფორმაციო დაფები გოგებაშვილის, რუსთაველის, ხიმშიაშვილის, ბარათაშვილის, გორგილაძის, ფიროსმანის და ინასარიძის ქუჩებზე. ამ ეტაპზე მოვახდენთ განთავსებას ჭავჭავაძის, აბუსერიძის, დ.თავდადებულის, მელიქიშვილის და ჯავახიშვილის ქუჩებზე. შემდგომში ეტაპობრივად შეცვლება ყველა საინფორმაციო დაფა. ახალი საინფორმაციო დაფა ძველისგან იმით განსხვავდება, რომ არის ორ ენოვანი (ქართული და ინგლისური), ასევე ადაპტირებული სამარშრუტო ხაზი აღნიშნულია სპეციალური ეტლით მოსარგებლეთა ნიშნით. ელექტრო ტაბლოებზე ცვლილებები სადაც განთავსებული იყო მხოლოდ მარშრუტები და მოსვლის დრო. ამ ეტაპზე კი უკვე მითითებულია ქართულ და ინგლისურ ენაზე მარშრუტის მოსვლის დროსთან ერთად ქუჩის დასახელებები.

3. მოსაცდელები განთავსდა - კობლაძის, ინასარიძის, ბაგრატიონის, მელიქიშვილის, შავშეთის ქუჩებზე, ასევე ბავშვთა სავადმყოფოსთან და სარფში საბაჟო გამშვებ პუნქტთან.

4. შეიქმნა #3 სამარშრუტო ხაზი.

5. მოსახლეობის მოთხოვნიდან და მარკეტინგული კვლევებიდან გამომდინარე მოხდა #2 სამარშრუტო ხაზის ოპტიმიზაცია და 6 თებერვლიდან ბათუმს ახალი #3 სამარშრუტო ხაზი მოემსახურება, რომელსაც # 2 სამარშრუტო ხაზის ანალოგიური საწყისი და საბოლოო წერტილები ექნება. განსხვავებით #2 სამარშრუტო ხაზისგან, რომელიც მოძრაობდა ჭავჭავაძის ქუჩის გავლით, სამარშრუტო ხაზი # 3 იმოდრავებს შემდეგი მიმართულებით: ადლიის დასახლება - ხიმშიაშვილის ქ. - გორგილაძის ქ. - ბარათაშვილის ქ. - ბაქოს ქ. - შავშეთის ქ. - მაიკოვსკის ქ. - გოგოლის ქ. - თამარ მეფის გზატკეცილი - თამარის დასახლება - აფხაზეთის ქ. უკუმიმართულება - იგივე.

6. #17 სამარშრუტო ხაზის გაგრძელება სარფის მიმართულებით. აქამდე სარფის მიმართულებით მხოლოდ #16 სამარშრუტო ხაზი მოძრაობდა ჭავჭავაძის ქუჩის გავლით. დღეისათვის კი უკვე გორგილაძის ქუჩის გავლით შესაძლებელია სარფის მიმართულებით მოძრაობა. მგზავრთა ნაკადი საგრძნობლად გაიზარდა.

7. სტუდენტური ჯგუფის IT's OK-ს ინიციატივით და აჭარის რადიოს დახმარებით, ბათუმის ავტოტრანსპორტის სამარშრუტო ხაზ #10 ადაპტირებულ ავტობუსში საცდელად დამონტაჟდა ხმოვანი სიგნალი, რომელიც ქართულ და ინგლისურ ენებზე აცხადებს გაჩერებებს და ახლომდებარე ღირსშესანიშნავ ადგილებს. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსინათლო შშმ პირებს მათთვის სასურველი გაჩერების ადგილის ადვილად ორიენტაციისთვის.

8. მოხდა საშტატო ერთეულის გაზრდა ორი ექთნით, რომლებიც ყოველდღიურად ახდენენ მძღოლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას და მხოლოდ ამის შემდეგ გადის მძღოლი სამუშაოდ. საჭიროების შემთხვევაში ექთანს მძღოლს აღმოუჩენს პირველად სამედიცინო დახმარებას. ყოველივე ეს კი ჩვენი მგზავრების უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს.

9. შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“ გადავიდა ელექტრო საბილეთო სისტემაზე ქალაქის საბილეთო სისტემის პარალელურად. ახალმა სისტემამ უფრო გაიაოლა და გაზარდა მომსახურების ხარისხი მგზავრებისათვის.

10. მგზავრობის ღირებულებაში მოხდა ცვლილებები. შემოღებულ იქნა შეღავათიანი 15 თეთრიანი ტარიფი ნაცვლად 20 თეთრისა. ასევე, გადასახადიდან განთავისუფლებული იქნა **შშმ პირები, მოსწავლეები, სოციალურად დაუცველები 0-70 000 ჟულამდე**, რომლებიც სარგებლობდნენ შეღავათიანი ტარიფით:

- სტანდარტული – 30 თეთრი;
- შეღავათიანი -15 თეთრი–20 თეთრის ნაცვლად:
- ა) ასაკით პენსიონერები;
- ბ) სტუდენტები;
- გ) პედაგოგები;
- დ) იძულებით გადაადგილებული პირები;
- ე) ბიბლიოთეკის და საბავშვო ბაღის თანამშრომლები.

➤ **ნულოვანი:**

- ა) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;
- ბ) ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები;
- გ) 0-დან 70 000 ჟულის მქონე ბენეფიციარები (სოციალურად დაუცველები);
- დ) სკოლის მოსწავლე; ე) შშმ პირები;

11. მძღოლებს ჩაუტარდათ ტრენინგები **შშმ პირთა მომსახურების** საკითხებში.

12. შპს „**ბათუმის ავტოტრანსპორტი**“ გახდა **ლაურეატი** პროგრამაში „**დარგის ლიდერი 2015**“. საქართველოს ტოპ-45 საწარმოს შორის კრიტერიუმის – „ჯამური ადგილი“ – მიხედვით დაიკავა მე-7 ადგილი (ოქრო), ხოლო აჭარის ა.რ.-ის ტოპ-3 საწარმოს შორის კრიტერიუმის – „ჯამური ადგილი“- მიხედვით **პირველი ადგილი (ოქრო)**. მოცემული მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესო საქალაქო და საგზაო ტრანსპორტის სფეროში და ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგის კავშირის მიერ ეს ფაქტი იქნა დადასტურებული შესაბამისი ჯილდოებით საწარმოს საუკეთესო თანამშრომლებისათვის ნომინაციით „**წლის სპეციალისტი 2015**“, რომელიც ორგანიზაციის ოთხმა თანამშრომელმა მიიღო, ხოლო მედალი „**პროფესიული დამსახურებისთვის**“ მიიღო საწარმოს ყველაზე ღვაწლმოსილმა თანამშრომელმა.

13. ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის XXXI დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ რვა ქვეყნის ყველაზე წარმატებული კომპანიები. თითოეული დარგიდან სტატისტიკური რანჟირების შედეგების მიხედვით გამოვლინდა „**დარგის ლიდერი 2016**“. ბათუმის მერიის საწარმომ, შპს ბათუმის ავტოტრანსპორტმა დაიკავა წამყვანი პოზიციები სტატისტიკური რანჟირების შედეგების მიხედვით რეიტინგი ოქრო როგორც აჭარის, ასევე საქართველოს საწარმოებს შორის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით „დანახარჯები დასაქმებულებზე“.

14. განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრი - ჯილდო „**წლის დამსაქმებელი 2016**“

წყლისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია

(ქ. ბათუმის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მესამე ფაზა)

დაფინანსება: KFW ბანკის **სესხი** - 20 მლნ. ევრო; KFW ბანკის **გრანტი** - 15 მლნ. ევრო; **EU NIF გრანტი** - 4 მლნ. ევრო; ადგილობრივი კონტრიბუცია - 5 მლნ. ევრო.

❖ **საკანალიზაციო ქსელისა და მაგისტრალური ხაზების რეაბილიტაცია ჭაობის ტერიტორიაზე** - სამუშაოები დაიწყო 2015 წლის პირველ კვარტალში და დასრულდება 2017 წლის მეოთხე კვარტალში - ერთობლივი საწარმო „ფაიფერი და გზა“ - **16,3 მილიონი ევრო**. მათ შორის:

- **საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია** - ჭავჭავაძე-გოგებაშვილი-შავშეთი მთისძირი-ჯავახიშვილის ქუჩებს შორის მონაკვეთი - **შესრულება 70%**;
- **საკანალიზაციო საწნეო მაგისტრალის რეაბილიტაცია** (ბ სატუმბი სადგურიდან ადლიის გამწმენდ ნაგებობამდე) - **შესრულება 30%**;
- **სატუმბი სადგურის მშენებლობა** გოგებაშვილის ქუჩაზე - **შესრულება 95%**;
- **საკანალიზაციო თვითდენითი კოლექტორის რეაბილიტაცია** (ბონის მოედნიდან ბ სატუმბ სადგურამდე(ჯავახიშვილისა და ბაგრატიონის კვეთა) - **შესრულება 60%**.

❖ **მახინჯაური - მწვანე კონცხი - ჩაქვის წყლის სისტემის რეაბილიტაცია** - სამუშაოები დაიწყო 2015 წლის პირველ კვარტალში და დასრულდება 2017 წლის მეორე კვარტალში - კომპანია „ეჯიტაში“ - **6,1 მილიონი ევრო**. მათ შორის:

- **ორი რეზერვუარის მშენებლობა ჩაქვის ტერიტორიაზე** (2500 კუბ.მ. და 900 კუბ.მ.) - **შესრულება 80%**;

- წყლის ქსელის რეაბილიტაცია მახინჯაური - მწვანე კონცხი - ჩაქვის ტერიტორიაზე - შესრულება 85%;
- მობილური საკანალიზაციო გაშენი ნაგებობის მშენებლობა ჩაქვის ტერიტორიაზე - შესრულება 50%.
- ❖ **წყალმომარაგების ქსელის განვითარება ანგისის ტერიტორიაზე** - სამუშაოები დაიწყო 2016 წლის პირველ კვარტალში და დასრულდება 2017 წლის მესამე კვარტალში - ერთობლივი საწარმო „ლუდვიგ ფაიფერი და ფაიფერ ლაიფციგი“ - 1,5 მილიონი ევრო:
 - მიმდინარეობს სამომხმარებლო ქსელის რეაბილიტაცია - შესრულება 60%.
- ❖ **წყლისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია თამარის დასახლება - ბარცხანა - ბონი-გოროდოკის დასახლებაში** - სამუშაოები დაიწყო 2016 წლის პირველ კვარტალში და დასრულდება 2018 წლის მესამე კვარტალში - ერთობლივი საწარმო „ლუდვიგ ფაიფერი და ფაიფერ ლაიფციგი“ - 18,0 მილიონი ევრო. მათ შორის:
 - საკანალიზაციო სატუმბო სადგურის მშენებლობა ბენზესა და ბარცხანის დასახლებაში - შესრულება 20%;
 - წყლისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია განხორციელდება პარალელურად 2016 წლის თებერვლის თვიდან 2018 წლის სექტემბრამდე - შესრულება 30%;
 - მახინჯაურის 1800 კუბ.მ. წყლის სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა დაიწყო 2016 წელს და დასრულდება 2017 წლის მეოთხე კვარტალში - შესრულება 40%.
- ❖ **ჩაისუბნის წყლის გადამგები მაგისტრალისა და სამომხმარებლო ქსელის რეაბილიტაცია** - ერთობლივი საწარმო „ლუდვიგ ფაიფერი და ფაიფერ ლაიფციგი“ - 1,8 მილიონი ევრო - სამუშაოები დაიწყო 2017 წლის დასაწყისში და დასრულდება 2018 წლის მეორე კვარტალში.
- ❖ **გონიოს საკანალიზაციო ქსელი რეაბილიტაციის გაგრძელება** - ერთობლივი საწარმო „ლუდვიგ ფაიფერი და ფაიფერ ლაიფციგი“ - 1,2 მილიონი ევრო - სამუშაოები დაიწყო 2016 წლის პირველ კვარტალში და დასრულდება 2017 წლის თებერვალში.

თანამედროვე წყალმომარაგება / 2016 წელი

- 650კმ სიგრძის წყლისა და წყალარინების ქსელის ექსპლუატაცია და დაზიანებების დროული აღმოფხვრა
 - ჩაქვისა და ჩაისუბნის წყალმიმღების ექსპლუატაცია
 - სალიბაურისა და ინჯალის რეზერვუარების და მეჯინისწყლის სატუმბო სადგურის სათანადო მუშაობა
 - 9 წყალარინების სატუმბო სადგურის ექსპლუატაცია
 - ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია და ზღვაში



ბათუმის წყალი

ჩასაშვები გაწმენდილი წყლის ლაბორატორიული კონტროლი

- წყალმიმღებებისა და ონკანებიდან გამომავალი წყლის ლაბორატორიული კონტროლი
- მომხმარებელთან ურთიერთობა წყლის წარმოების, დაზიანებების და გეგმიური სამუშაოების შესახებ
- შეკეთდა 156 ცალი წყალმომარაგების სამანიპულაციო ურდული და 35 ცალი სახანძრო ჰიდრანტი
- გამოირეცხა წყალმომარაგების ქსელი 150 კმ სახანძრო ჰიდრანტების მეშვეობით



- განახლდა ქოლცენტრის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება აბონენტთა ინფორმირება მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით წყალმომარაგების წყვეტის შესახებ
 - მიმდინარეობს რადიოკავშირის და ასევე, ავტომატური მართვის ერთიანი სისტემის შექმნისთვის დაკავშირებული სამუშაოები
- ადლიის 9 წყალარინების გამწმენდ ნაგებობებსა და სატუმბო სადგურებზე / გამწმენდ ნაგებობებზე, მოხდა 16 003 495 მ³ ჩამდინარე წყლის მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდა და ზღვაში ჩაშვება. ამასთან, მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორიის მშენებლობა. ლაბორატორიის

სამშენებლო სამუშაოები 2017 წელს დასრულდება.

ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია - ორგანოლექტიკა - ფერი, სუნი, გემო დასიმღვრივე. **ქიმია** - წყალბადის მაჩვენებელი pH, ამონიუმის იონი, ნიტრიტები, ნიტრატები, სულფატები, ქლორიდები, ქლორი (ნარჩენი), პერმანგანატული ჟანგადობა (ინდექსი), საერთო სიხისტე, რკინა (საერთო), სპილენძი. **ბაქტერიოლოგია** - მეზოფილური აერობების და ფაკულტატური ანაერობების აღმოჩენა და დათვლა 37° C და 22°C-ზე, საერთო



კოლიფორმული ბაქტერიების და E.coli -ის სავარაუდო რიცხვის გამოთვლა, ფეკალური სტრეპტოკოკების აღმოჩენა და დათვლა.

წყალარინების და სანიაღვრე ქსელები:



24 სთ-იანი ცხელი ხაზი შემოსული ზარების რაოდენობა - 8104 ზარი; განცხადებების რაოდენობა - 1001; გაწმენდითი სამუშაოები უტარდება შემდეგ არხებს:

- მეჯინისწყლის არხი;
- ჟილინის არხი;
- კობალაძის არხი;
- ჯავახიშვილის არხი;
- ლერმონტოვის არხი;
- ბენზე- მახინჯაურის ზღვაში გამსვლელი არხები;
- გონიო-კვარიათის ტერიტორიაზე არსებული არხები.

გაიწმინდა / შეკეთდა:



- გაიწმინდა 32 798 გრძ.მ წყალარინების ქსელის ჭავლით;
- გაიწმინდა 18 866 წყალარინების ჭა;
- გაიწმინდა 4 099 წყალარინების სახლის მიერთების ჭა;
- შეკეთდა 507 წყალარინების ჭა;
- გაიწმინდა 28 955 სანიაღვრე ჭა;
- გაიწმინდა 11 167 მ. დახურული სანიაღვრე ქსელის არხები;
- გაიწმინდა 137 357 მ. სანიაღვრე ქსელის ღია არხები;
- 17 225 მ. სანიაღვრე არხი გაიწმინდა ჭავლით;
- შეკეთდა 557 სანიაღვრე ჭა;

• დ.თავდადებულის და სააკაძის ქუჩების კვეთიდან, სააკაძის და სულაბერიძის ქუჩების კვეთამდე, სულაბერიძის ქუჩიდან ჩოლოყაშვილის კვეთამდე ჩატარდა სულაბერიძის ქუჩაზე არსებული დახურული არხის კაპიტალური გაწმენდითი და მოსაპირკეთებელი სამუშაოები- 450 გრძ.მ.;

• ჭაობის დასახლებაში, რეაბილიტირებულ უბნებში, კანალიზაციის ახალ ქსელზე კორპუსების დაერთება მოხდა ჭავჭავაძის, ბერიძის, წერეთლის, გ.ბრწყინვალის, ჯავახიშვილის ქუჩების არეალში. სულ დაერთდა: 620 აბონენტი (მათ შორის კერძო სახლები) და 43 საცხოვრებელი კორპუსი;

• მამია ვარშანიძის და გენ.ასლან აბაშიძის ქუჩებზე დამონტაჟდა 2 000 მმ-იანი რკინა-ბეტონის სანიაღვრე მილი - 70 გრძ.მ -ის ოდენობით;

• ახალი სანიაღვრე ქსელის და ჭების მონტაჟი იახტკლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ინასარიძის, რუსთაველის, გრიბოედოვის, ვაჟა-ფშაველას, ლერმონტოვის და სულაბერიძის ქუჩებზე. ასევე ბენზეს და გიონო-კვარიათის ტერიტორიაზე.

წყალმომარაგება:

- გაწმენდილ და მოწოდებული იქნა 30 035 659 კუბ/მეტრი სასმელი წყალი;
- წყალმომარაგების ჩაქვის და ჩაისუბნის სათავე ნაგებობებზე, ყოველთვიურად ხდება წყლის სალექარების რეცხვა;
- ინჟალოსა და სალიბაურის რეზერვუარები ირეცხება ყოველთვიურად;
- მეჯინისწყლის სათავე ნაგებობაზე შეიცვალა დაზიანებული მიწისქვეშა (ჭაბურღილის) 5 ცალი ტუმბო.

წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი:

• შპს "ბათუმის წყალის" 24 სთ-იან ცხელ ხაზზე წყალმომარაგების საკითხებზე შემოსული ზარების რაოდენობაა 1324,

• განცხადების სახით შემოსული წერილების რაოდენობაა - 385;

• თოდოგაურის და მეჯინისწყლის დასახლებაში მოხდა ახალი მილსადენების 3700გ/მ სხვადასხვა დიამეტრის მილის მონტაჟი და გამრეცხველიანდა 460 ახალი აბონენტი;

• ანა კალანდაძის ქუჩაზე მოხდა ახალი მილსადენების 1400გ/მ სხვადასხვა დიამეტრის მილის მონტაჟი და გამრეცხველიანდა 71 ახალი აბონენტი;

• ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დიდგორის ქუჩაზე, მოხდა ახალი მილსადენების 820გ/მ სხვადასხვა დიამეტრის მილის მონტაჟი და გამრეცხველიანდა 42 ახალი აბონენტი.

დასახელება	მოსახლეობა	კომერცია	საბიუჯეტო ორგანიზაცია
დარიცხვა	3 411 773	5 864 635	1 058 982
ამოღება	4 104 565	5 670 806	1 044 424
ამოღების პროცენტული მაჩვენებელი	120%	96%	98%

გამრიცხველიანება / 2016 წელი



მონაცემები	
გამრიცხველიანებული მოსახლეობა	9 419
კომერცია	3 428
საბიუჯეტო ორგანიზაცია	58

ეკონომიკის ლიდერთა რიგით 33-ე ცერემონიაზე, საქმიანობის დინამიკისა და სანდოობის, მომგებიანობისა და ლიკვიდურობის მონაცემებით, **წლის საუკეთესო კომპანიის ჯილდო „ბათუმის წყალმა“** მოიპოვა.



ბოტანიკური ბაღის განვითარება

- ❖ ვიზიტორთა საერთო რაოდენობა გაზრდილია 10 % -ით / 2016 – 469 258; 2015 – 425 220
- ❖ ტურისტული სააგენტოებით შემოსული ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 82 %/ 2016 – 19 662; 2015 – 10 772



- ❖ **ექსკურსიამდლოლის მომსახურება** გაზრდილია 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით 12 % -ით / 2016 – 311; 2015 - 278
- ❖ წელს ელექტრომობილების მომსახურება, 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 14 % / 2016 – 104 878; 2015 – 91 712
- ❖ **საქორწილო მომსახურება** / 2016 – 911; 2015 – 68
- ❖ ბათუმის ბოტანიკური ბაღის **საკემპინგე და საპიკნიკე მომსახურების** რაოდენობა 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 92 %-ით / 2016 – 502; 2015 – 261



- ❖ **მონაწილეობა:**
 - მე-18 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა ექსპო თბილისი 2016;
 - ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-9 საერთაშორისო ფესტივალი Expo Batumi 2016;
 - Expo Antalia 2016. დევიზი: „შეუნახე ბუნება მომავალ თაობას“. მონაწილეობას ღებულობდა 60 ქვეყანა, ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა საქართველოს სახელით 500 კვ.მ ფართობზე წარადგინა კავკასიის მცენარეების კუთხე და დაჯილდოვდა სპეციალური სიგელით;

➤ ალპური და არქტიკული ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო კონფერენციაში (პონტ დე ნანტი-შვეიცარია) და ევროპის 19 ალპური ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლების წინაშე წარსდგა პრეზენტაციით გოდერძის ალპური ბაღის დაარსების საჭიროების და პერსპექტივების შესახებ;

➤ წლის 16-18 თებერვალს ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს (BGCI) გლობალური პროგრამების ეგიდით ბათუმის ბოტანიკურ ბაღში გაიმართა საერთაშორისო სემინარი: „ბოტანიკურად მნიშვნელოვანი ტერიტორიების [Important Plant Area (IPA)] დადგენა საქართველოში“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ოთხი ქვეყნის-გაერთიანებული სამეფოს (ბრიტანეთი), თურქეთის, სომხეთის და საქართველოს 25 მონაწილე.

❖ **საერთაშორისო პროექტები** / თანამშრომლობა:

➤ წლის ივნისში ადგილობრივი ფლორისა და კონსერვაციის დეპარტამენტის თანამშრომელმა გაიარა სტაჟირება ალპურ საბაღო საქმიანობაში მიუნხენის ბოტანიკური ბაღის შაჰენის ალპურ ბაღში (გერმანია);

➤ წლის 05 ოქტომბერს, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ ბათუმის ბოტანიკურ ბასდსა და ჰარვარდის უნივერსიტეტის აქროლოდის დენდრარიუმს შორის (ქ. ბოსტონი, აშშ);

➤ ბათუმის ბოტანიკური ბაღის **გოდერძის „ალპური ბაღი“** / საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტი / ხორციელდება: მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის მხარდაჭერით, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფსი“ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და შ.პ.ს. „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს საგრანტო დაფინანსებით ახორციელებს.



მწვანე ქალაქი

გამწვანება იყო და არის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

1. დაირგო დეკორატიული ხე-მცენარეები და ბუჩქები - **2 945** ძირი
2. აღნიშნული ხე-მცენარეებითა და ბუჩქებით მოეწყო და განახლდა - **53** სკვერი
3. დეკორატიული ხე-მცენარეებისა და ბუჩქების გასხვლა-ფორმირება - **17 452** ძირი
4. გაიწვლა მწვანე საფარი - **4 936 362 მ²**
5. სეზონურად მოყვავილე ჰორიზონტალური ყვავილების დარგვა - **902 660** ცალი
6. ხე-მცენარეებისა და ბუჩქების ირგვლივ ნიადაგის გადაბარვა-გათოხვნა - **27 408 მ²**
7. გამხმარი და დაავადებული ხეების მოჭრა-ამოძირკვა - **88** ძირი
8. ხე-მცენარეების გადაბეღვა - **48** ძირი
9. ხე-მცენარეების გასხვლა - **356** ძირი
10. გადაზრდილი და გამხმარი ტოტების შეჭრა - **7 643** ძირი
11. მიწის შეტანა საყვავილეებში - **140 მ³**
12. საყვავილე მიწის ფართობის მომზადება ყვავილების დასარგავად - **2785 მ²**
13. სეზონურად მოყვავილე ჰორიზონტალური ყვავილების მოვლა-პატრონობა (გამოხილვა) თვეში ორჯერ - **8092 მ²**
14. გადაყვავილებული ყვავილების ამოღება - **1 153 487** ცალი
15. პალმებზე ტოტების შეჭრა - **3 847** ძირი
16. ფილებს შორის ამოსული სარეველების ამოძირკვა - **11 502 მ²**

17. მცენარეებისა და ყვავილების შეწამლვა შხამქიმიკატებით - 27 859 მ²

„მწვანე ქალაქის“ სტრატეგიის მთავარი პრიორიტეტები:

- გარემოსდაცვითი მიმართულება;
- ტრანსპორტის გაუმჯობესება;
- შენობების ენერგოეფექტურად აღჭურვა;
- მწვანე არელების გაზრდა.

ქალაქში არსებული მოსასვენებელი სივრცეების კეთილმოწყობის და ახალი მწვანე სივრცეების შექმნის პროცესი 2017 წელსაც გაგრძელდება



სუფთა ქალაქი

2016 წელს შპს „სანდასუფთავება“-ს მიერ 01.11.2016 წ-მდე შესრულებული ძირითადი საქმიანობის 83%-ს ქ.ბათუმის მერიის, 9%-ს სსიპ ბათუმის ბულვარის, 5%-მდე ხულოს, შუახევის, ქედისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სატენდერო პირობებით შესრულებული საქმიანობა წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი საქმიანობის 4%-ს კერძო დაკვეთებიდან შესრულებული საქმიანობა შეადგენს.

2016 წ. მერიის #274 სახელშეკრულებო პირობებით ქალაქის დასუფთავების მომსახურება განისაზღვრა 4 152 923,74 ლარით დღგ-ს ჩათვლით, აქედან შესრულებულია 3 334 079,17 ლარის დასუფთავებითი მომსახურება.

შპს „სანდასუფთავების ერთ-ერთი მიმართულებაა დერატიზაცია-დეზინსექცია (მღრღნელების პოპულაციის საგრძნობი შემცირების მიზნით). ბუნკერების დეზინსექცია ნაცვლად ერთისა მუშავდება თვეში 3-ჯერ. აგრეთვე გაიზარდა სადერატიზაციო და სადეზინსექციო ობიექტთა რაოდენობა.

მიმდინარე წლის დეზინსექცია-დერატიზაციის #1 ხელშეკრულების თანახმად სახელშეკრულებო ღირებულების 302 396,80 ლარიდან შესრულებულია 259 352,55 ლარის სამუშაოები. აღნიშნული ხელშეკრულებით ხორციელდება:

1. ნაგავგამტარების დეზინსექცია თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად (75გ/მ²*12თვე);
2. ნაგავგამტარების დეზინსექცია დამატებით თვეში ორჯერ მაისი-ოქტომბერი (700 ობ*6 თვე);
3. მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლების სარდაფების და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი (700 ობ.*6 თვე);
4. ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია, (10000ც.*12თვე);
5. ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია, თვეში ერთჯერ, ყოველთვიურად (1050 ობ. * 12 თვე);
6. ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია, თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი (7.2 ჰა * 6 თვე);
7. იტალიური ეზოების, მრავალბინიანი სახლების ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია თვეში ერთჯერ (მაისი-ოქტომბერი).

ნარჩენების გატანის მომსახურების #275 ხელშეკრულების სატენდერო პირობებით განსაზღვრულია 70 000 ტ ნარჩენის გატანა, რომლის ღირებულება განისაზღვრა 3 045 000 ლარით. აქედან შესრულებულია 2 649 212,64 ლარის (60 901,44 ტ) მომსახურება.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ რომ ქალაქის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა სატენდერო პირობით დღეში ორჯერ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ეფექტური შედეგის მისაღებად 3-4-ჯერა და ტურისტულ სეზონზე უწყვეტ რეჟიმშიც ხორციელდება. ყოველივე ზემოთაღნიშნულის კონტროლი კი ჯიპიარეს სისტემით მიმდინარეობს, რომლის საშუალებითაც ხდება ასევე თითოეული სპეცმანქანის მოძრაობის მარშრუტისა და საწვავის ხარჯის დადგენა.

მთლიანად **ნარჩენების გატანა 26 სპეცმანქანით** ხორციელდება. ტრანსპორტი, რომელიც ახდენს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანას, მუშაობს თავისი შესაძლებლობის ზღვარზე, რის გამოც ხშირად გამოდის მწყობრიდან. ამასთან ვახდენთ მოძველებული სპეც მანქანების ახლით ჩანაცვლებას. **2016 წელს შეძენილია 13 ერთული სპეცმანქანა.**

შპს „სანდასუფთავებას“ განლაგებული აქვს დაახლოებით **3200 საყოფაცხოვრებო კონტეინერი, 64 მიწისქვეშა ნაგავშემკრები** ქალაქის ცენტრალურ ნაწილში დამონტაჟებულია **600 ერთული დეკორატიული ურნა** და კიდევ იგეგმება **630 დეკორატიული ურნის დამონტაჟება.**

ყოველწლიურად გვიხდება ახალი კონტეინერების შეძენა, რადგანაც ხშირია ვანდალიზმი ურნების და ბორბლების მიტაცების. თვითნებურად გადაადგილების შემთხვევაში ჩვენს მიერ ხდება მსგავსი ფაქტების დაფიქსირება და პოლიციაში შეტყობინების გაგზავნა. მიუხედავად აღნიშნულისა მაინცდამაინც პოზიტიური შედეგები არ გამოუღია.

რაც შეეხება **მსხვილფეხა საქონლის გადაადგილების აღკვეთას**, ამ მიმართულებით შექმნილი გეგმაც მეველეთა ჯგუფი, რითაც ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ ბათუმის გარეუბნებიდან საქონლის შემოსვლა, ჯარიმების, საქონლის დაჭერის, გადადენის მეშვეობით. რაღაც დონეზე ვახერხებთ პრობლემების მოგვარებას, მაგრამ ეს არაა საკმარისი, თუკი მოსახლეობამ არ გაათვითცნობიერა, რომ პირუტყვი ვერ იქნება ქალაქის მკვიდრი. ასევე ანალოგიური პრობლემაა „მაწანწალა“ ცხოველები, ამ მხრივ, არა ერთგზის გამართულა მსჯელობა პრობლემის ირგვლივ და გამოსავალი გზებიც იძებნება. ვიმედოვნებთ დროის მოკლე მონაკვეთში მივაღწევთ კონსენსუსს ყველა დაინტერესებულ პირთან ერთად და საკითხიც ამოიწურება.

აჭარის მთელ ტერიტორიაზე ვახდენთ „**ბ**“ **ჯგუფის ნარჩენების გამოტანას**, ეს მოიცავს ყველა სამედიცინო და სტომატოლოგიურ დაწესებულებებს და სპეციფიკური ნარჩენების მქონე ორგანიზაციებს. წლის განმავლობაში გამოგვაქვს 80 ტონამდე სამედიცინო ნარჩენი, რომლებიც შესაბამისად ინსინიატორში ნადგურდება. სულ ცოტა ხნის წინ გაგზარდეთ სამოქმედო ტერიტორია და ჩვენი მომსახურებით დავიწყეთ **გურიის რეგიონის ათვისება**, რაც თავის მხრივ აისახება შემოსავალზე.

აუცილებლად ხაზგასასმელია მორწყვით და **თოვლწმენდითი სამუშაოები**. ამ მიმართულებით წყალმზიდი სპეც. მანქანებისათვის, რომელიც ახდენს ქუჩების მორწყვას, შევიძინეთ თოვლსაწმენდი დანები და ამით გაუჩნდა დამატებითი ფუნქცია და საკმაოდ დიდი ფულადი დანახარჯი იქნა აცილებული თავიდან. **შევიძინეთ 6 ერთული თოვლსაწმენდი მოტობლოკი**, რომელიც სავალი ნაწილის, ხოლო **2 ერთული „ზოზაკტი“** ქვაფენილების თოვლის საფარისაგან გასაწმენდად, თუმცა ის მრავალფუნქციურია, და მისი გამოყენება ხდება მასიური სამუშაოების შესასრულებლად.

ამ ეტაპზე თოვლის გატანასთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის შესაძლებელია შემდეგი ტექნიკის მობილიზება:

- **დანით** აღჭურვილი **სპეცტექნიკა** - 10 ერთული;
- **მარილმზნევი** **სპეცტექნიკა** - 5 ერთული;
- **მრავალფუნქციური „ზოზაკტი“** (ჯაგრისით, ამკრეფით, დანითა და სამტერეფით აღჭურვილი - 4 ერთული);
- **ტრაქტორი (დანით)** – 2 ერთული;
- **მცირე დანაიანი სპეცტექნიკა** ტროტუარებისათვის -3 ერთული;
- **მცირე ჯაგრისიანი სპეცტექნიკა** (ძველი ბათუმისათვის) - 4 ერთული;
- **მოტობლოკი** (მცირე თოვლამკრეფი ტროტუარებისთვის) – 6 ერთული;
- ასევე ჩატარებულია ტენდერი **300 ტონა ტექნიკური მარილის** შესაძენად.

2016 წლის 01.11.2016 წლის ფინანსური შედეგების მიხედვით საწარმოს საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 7 362 919 ლარი, ხოლო საოპერაციო ხარჯმა 6 909 722 ლარი სავარაუდო ცვთის ჩათვლით. აქედან გამომდინარე კი საოპერაციო მოგებამ 453 197 ლარია. ანუ მოგების მაჩვენებელი დაახლოებით 5-6%-ია. ხოლო არასაოპერაციო შემოსავალმა 499 869 ლარი, არასაოპერაციო ხარჯმა 627 ლ შეადგინა, **საერთო მოგებამ** კი 952 439 ლარი.



საგანმანათლებლო - აღმზრდელობითი დაწესებულებების ხელშეწყობა / განვითარება

სასკოლო მზაობის, ინკლუზიის და ზოგადი პროფესიული განვითარების სფეროში **გადამზადებულია ყველა მეთოდისტი, აღმზრდელი და მათი თანაშემწე, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მედდა, მზარეული, მწე, მუსიკის პედაგოგი.**

ახალი საბავშვო ბაღები:

- გაიხსნა **4 ახალი საბავშვო ბაღი (N29, N30, N31, N32);**
- დამატებით - **1 050-მა ბავშვმა** შეძლო ბაღში დარეგისტრირება;
- ამჟამად მიმდინარეობს კიდევ ერთი (ურების დასახლება) **საბავშვო ბაღის მშენებლობა.**

აღდგენილი საბავშვო ბაღები: ქალაქის ცენტრში ჩაუტარდა რეაბილიტაცია და **აღდგა** დაზარალებული **მე-5 საბავშვო ბაღი**, რომელიც ემსახურება **105 აღსაზრდელს.**

რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები:

- **აღდგენა-რეკონსტრუქცია** ჩაუტარდა **10 (N1, N2, N8, N12, N13, N16, N17, N18, N23, N24)** საბავშვო ბაღებს;
- მიმდინარე რემონტი **17 (N3, N4, N6, N7, N9, N10, N11, N14, N15, N19, N20, N22, N25, N26, N27, N29, N31)** საბავშვო ბაღი.

შედეგები:

- **2015-2016 წელს დასაქმდა 164 ადამიანი;**
- **დაემატა 4 სააღმზრდელო ჯგუფი.** დამატებით დარეგისტრირდა **140 აღსაზრდელი და დასაქმდა 13 ადამიანი;**
- **2 საბავშვო ბაღში მოეწყო ჭაბურღილი.** მოიხსნა N23 და N29 საბავშვო ბაღებში წყლის მიწოდების პრობლემა;
- **4 საბავშვო ბაღში მოეწყო პანდუსი;**
- **31 საბავშვო ბაღში დაირგა მწვანე ნარგავები;**
- **1 საბავშვო ბაღს (N27) ჩაუტარდა გამაგრება/გაძლიერების სარეკონსტრუქციო სამუშაოები;**
- **2 საბავშვო ბაღის შენობა შეიფუთა წყალგამძლე და ნესტგამძლე საიზოლაციო მასალით;**
- **დაინერგა აღსაზრდელთა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა.** ეს არის მაქსიმალურად გამჭვირვალე პროგრამა.

ახლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია დაარეგისტრიროს აღსაზრდელი სასურველ საბავშვო ბაღში ან გააკეთოს განაცხადი მობილობის შესახებ, თვალი ადევნოს რიგში მყოფი აღსაზრდელების მოძრაობას და ა.შ.



განათლების და კულტურის ხელშეწყობა

განათლება / 2016 წელი

1. უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა - შეირჩა 25 სტაჟირი. მათ შორის ერთმა სტაჟიორმა სტაჟირება გაიარა საფრანგეთში, კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით, 21-მა სტაჟიორმა სტაჟირება გაიარა გერმანიაში, ტურიზმის მიმართულებით, ხოლო 3-მა სტაჟორმა სტაჟირება გაიარა გერმანიაში.
2. ადგილობრივ და საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო/შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა - დაფინანსდა 19 ბენეფიციარი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო ღონისძიებებში პოლონეთში, გერმანიასა და საფრანგეთში.
3. ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის - ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია გაიცა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე 50 ბათუმელ სტუდენტზე.

კულტურა / 2016 წელი

1. საერთაშორისო ფესტივალების და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა - 515 000 ლარი. ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნების მიზნით, ჩატარდა 7 საერთაშორისო ფესტივალი:
 - „კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი“ - კლასიკური მუსიკის ვარსკლავების მონაწილეობით. ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყო ქართველი და უცხოელი კლასიკური მუსიკის შემსრულებლები;
 - „ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი“ - ფესტივალი მოიცავდა ოთხ საკონკურსო საფესტივალო კომპონენტს. კერძოდ, მუსიკალური (ვოკალი); ახალგაზრდა ფოტოხელოვანები, ახალგაზრდული კინოს, კლასიკური მუსიკის შემსრულებლები (ინსტრუმენტალისტები);
 - „საავტორო კინოს ბათუმის XI საერთაშორისო ფესტივალი“ - გაიმართა საავტორო ფილმების ბათუმის XI საერთაშორისო კინო-ფესტივალი, მოეწყო კინოჩვენებები, მოწვეული იყო 50-მდე ცნობილი კინო-რეჟისორი და კრიტიკოსი;
 - „მოდის საერთაშორისო კვირეული“ - მოეწყო ცნობილი ბრენდების კოლექციებისა და ქართველი პროფესიონალი დიზაინერების გაზაფხული - ზაფხულის კოლექციების ჩვენებები, გაიმართა შოუ-რუმები, აქსესუარების გამოფენები, მასტერკლასები, ცნობილი დიზაინერების პრესკონფერენციები;
 - „კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი“ - მოწვეული იყო საზოგადოებრივი მაუწყებლებისა და რეიტინგული არხების ხელმძღვანელები და გადამღები ჯგუფები (ბელორუსია, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუსეთი, თურქეთი, ირანი). ბათუმს სტუმრობდა მსოფლიო დონის სპეციალისტები (ჟიურის წევრები, სპეციალური სტუმრები), რომლებმაც ჩაატარეს მასტერ - კლასები სხვადასხვა მიმართულებით, ჩატარდა საოპერატორო კონკურსი;
 - „ბათუმის ანიმაციური ფილმების VIII საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა“ - პროგრამაში გათვალისწინებული იყო 15-მდე ქვეყნიდან არანაკლებ 25 ფილმის წარდგენა. მოეწყო ახალგაზრდა ანიმატორების ფილმებისა და ანიმაციის ფილმწარმოების ინტერაქტიული პრეზენტაციები.
2. ხელოვანთა ხელშეწყობა (20 000 ლარი) - ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა. დაფინანსდა საერთაშორისო კონკურსებში მონაწილე 6 ბათუმელი ხელოვანი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში.
3. კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (250 000 ლარი) - კულტურულ ღონისძიებებში საზოგადოების მონაწილეობისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნა. მერიის მიერ დაფინანსებულ კულტურულ პროექტებში ჩართული იყო 10 000-მდე პირი, დაფინანსდა 28 თავისუფალი პროექტი (კულტურის და ხელოვნების დარგში):
 - „თორმეტი თვე“ (სამუელ მარშაკის პიესა) - ეს იყო სტანდარტული ილუსტრირებულ დეკორაციაში გათამაშებული ზღაპარი, სადაც გამოყენებული იქნა გრაფიკული გამოსახულებები, სპექტაკლი დატვირთული იყო ქორეოგრაფიით. სპექტაკლი გათამაშდა ექსპერიმენტული თეატრის სცენაზე და არამარტო, ეს ნახა ბათუმის მოსახლეობის და ტურისტების დიდმა ნაწილმა. ბიუჯეტი - 9 998 ლარი;
 - „ახალი სიმღერა ბათუმზე“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა კომპოზიტორ ნანა მესხის მიერ დაწერილი სიმღერის „ახალი სიმღერა ბათუმზე“ არანჟირება, სტუდიური ჩაწერა და ვიდეო გადაღების უზრუნველყოფა. ბიუჯეტი 10 000 ლარი;
 - „ოქროს დელფინი-ხელოვნება მსოფლიოს ირგვლივ 2016“ - საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი. 150 მონაწილე. ბიუჯეტი იყო - 10 000 ლარი;

- „მუსიკალური კოლაბორაციები“ - პროექტი ითვალისწინებდა საორკესტრო საკრავებზე შემსრულებლების მომზადებას/კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრების პოპულარიზაციას. ბიუჯეტი - 5400 ლარი;
- „ინკლუზიური ბავშვების თვალთ ნანახი სამყარო (შეჩერებული წამი)“ - მოეწყო ინკლუზიური ბავშვების მიერ გადაღებული ფოტო-გამოფენა. ბიუჯეტი - 6640 ლარი;
- „სრულ - მეტრაჟიანი მხატვრულ დოკუმენტური ფილმი „აღრთოვანება შერჩათ ტრიბუნებს“ - ეძღვნებოდა საქართველოს სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის საიუბილეო თარიღს. ბიუჯეტი 9 200 ლარი;
- „ტარიელ ხარხელაურის საიუბილეო ღონისძიება“ - ტარიელ ხარხელაურის საიუბილეო ღონისძიება (ხევისურულ - აჭარული ეთნოგრაფიული კულტურის სადამო). ბიუჯეტი - 8260 ლარი;
- „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების II ეროვნული კონკურსი“ - 1 750 ლარი;
- „ოჯახში დამზადებული ღვინის IX ფესტივალი“ - ბიუჯეტი -10000 ლარი;
- „წიგნი „მამულისათვის თავდადებული“ - ეძღვნება დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ხსოვნას. ასევე მოეწყო წიგნის პრეზენტაცია. ბიუჯეტი - 9300 ლარი;
- „მუსიკალური სახლი“ - ნატო თოთიბაძის საავტორო საბავშვო სიმღერების კონცერტი. მონაწილეობდნენ 6-დან 15 წლამდე ასაკის ბათუმისა და თბილისის მუსიკალური სტუდიების წარჩინებულმა მოსწავლეებმა. ბიუჯეტი - 9375 ლარი;
- „საერთაშორისო პრინტ ფესტივალი LIFESTYLE“ - თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის-ბეჭდვითი მედიის /ხელით ბეჭდვის/ - პრინტის საერთაშორისო პირველი ფესტივალის ორგანიზებას. ბიუჯეტი - 9948,5 ლარი;
- „სპექტაკლი „ელეონარა“ - ბიუჯეტი - 10 000 ლარი;
- „წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია 25 წლისა“ - საიუბილეო ღონისძიებები. ბიუჯეტი - 8991.10 ლარი;
- „მამია ვარშანიძის 100 წლის იუბილე“ - აღინიშნა მამია ვარშანიძის 100 წლის იუბილე. ბიუჯეტი - 10000 ლარი;
- „მედეა, როგორც კავშირი ბათუმსა და ბარსელონას შორის“ - დაიდგა მედეას თემატიკაზე თანამედროვე პერფომანსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ესპანელმა და ბათუმელი მსახიობებმა. ბიუჯეტი - 10000 ლარი;
- „ბათუმი ჩემი სახლია“ - მონაწილეობა მიიღო ქართველმა ცნობილმა მომღერლებმა და ადგილობრივმა ხელოვნებმა. ბიუჯეტი - 10000 ლარი;
- „კინომოხილი“ - განხორციელდა კინოჩვენებები, განხილვა. ბიუჯეტი - 10000 ლარი;
- „თეატრი, თანამედროვეობა, კრეატივი“ - ესტონელი რეჟისორის დახმარებით დაიდგა სპექტაკლი „ალუბლის ბაღი“. ჩატარდა ორი საჯარო ლექცია. ბიუჯეტი - 10000 ლარი;
- საერთაშორისო ტალანტების ფესტივალ-კონკურსი „BLACK SEA STARS 2016“ - მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველმა ახალგაზრდებმა. კონკურსის გრან პრის მფლობელს გადაეცა ფესტივალის მთავარი პრიზი - მოწვევა საერთაშორისო კონკურსზე კულძულ მალტაზე. ბიუჯეტი-10000 ლარი;
- „ცეკვა და თანამედროვეობა“ - ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ანსამბლი „ბათუმის“ პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ანსამბლის ფოტო გადაღება პოლონელი ფოტოგრაფის რადეკ პოლაკის მიერ. ბიუჯეტი-10000 ლარი;
- „ბათუმი - ჩემი სიყვარულია“ (ფოტოკონკურსი, ფოტო-გამოფენა) - შეიქმნა ქალაქის ახალი ფოტო-ისტორია. გამოფენა-კონკურსი ჩატარდა „ბათუმობა-2016“-ის ფარგლებში. ბიუჯეტი-10000 ლარი;
- „უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიების ორგანიზება“ - გაიხსენეს 1990-2008 წლებში უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანები. ბიუჯეტი-1500 ლარი;
- „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“ - ჩატარდა საქველმოქმედო კულტურული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პოპულარულმა შემსრულებლებმა. ბიუჯეტი-10000 ლარი;
- „ერევანი - ბათუმი, გზა მეგობრობისაკენ“ - განხორციელდა ფილმის - ერევანი - ბათუმი, გზა მეგობრობისაკენ" გადაღება. ბიუჯეტი - 5 409 ლარი;
- „აზდაკის ბაღი“ - დაიდგა სპექტაკლის „ბოშები“, სადაც მონაწილეობა მიიღო 18 შშმ და 7 ტიპიური განვითარების მქონე მსახიობმა. ბიუჯეტი - 10000 ლარი;
- „ახალი წლის ზღაპარი“ - დაიდგა სპექტაკლი, მოეწყო გამოფენა, მომზადდა ვიდეოფილმი. პროექტში მონაწილეობს მიიღო 35 შშმ და 3 პროფესიონალმა მსახიობებმა. ბიუჯეტი - 9791 ლარი;
- „სინესთეზია“ - ურბანულ და მუსიკალურ თემებზე ინტერაქტიული ლექციისა და ურბანული მუსიკის სმენით გამოწვეული ქალაქის არქიტექტურის გააზრება, ფერადი აღქმა. ჩატარდა ლექცია და გაიმართა პერფომანსი. ბიუჯეტი - 9920 ლარი.

განათლება / 2015 წელი

1. **უმაღლესი განათლების ხელშეწყობა** - ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2014 წელს ჩარიცხულ სტუდენტებზე ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემას.

დაფინანსდა 30 ბენეფიციარი, მათ შორის: 10 მაგისტრი და 20 ბაკალავრი. პროგრამის ბიუჯეტი - 50 100 ლარი.

2. **უცხოეთში სტაჟირება** - ახალგაზრდების პროფესიულ სტაჟირებას და/ან გადამზადებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ასევე თურქეთსა და შვეიცარიაში. შერჩეული იქნა **12 ბენეფიციარი**: ტურიზმის მიმართულებით - 11 სტაჟიორი და არქიტექტურის მიმართულებით - 1 სტაჟიორი. ბიუჯეტი - 27 560 ლარი.

კულტურა / 2015 წელი

1. **ბათუმი არტი - ფესტივალების ქალაქი**. ჩატარდა შემდეგი ფესტივალები:

➤ „**კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი**“ - გაიმართება 4 საკონცერტო საღამო. ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იყო ქართველი და უცხოელი კლასიკური მუსიკის შემსრულებლები, რომელთა მიერ შესრულდა ცნობილი და პოპულარული ნაწარმოებები;

➤ „**ქალაქური მუსიკის ფესტივალი**“ - გაიმართა 2 საკონცერტო საღამო;

➤ „**საავტორო კინოს ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალი**“ - გაიმართა საერთაშორისო კინო-ფესტივალის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, მოეწყო კინოჩვენებები, მოწვეული იყო ცნობილი კინო-რეჟისორები და კრიტიკოსები, მოეწყო ცნობილ რეჟისორთა მასტერკლასები;

➤ „**ბათუმის ანიმაციური ფილმების მე-7 საერთაშორისო ფესტივალი**“ (არასაკონკურსო პროგრამა) - განხორციელდა ფილმების თარგმნა-გახმოვანება, ჩვენების უფლების მოპოვება, ანიმაციის წარმოებისათვის საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფა და სხვა მომსახურება;

➤ „**საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალი**“ - მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 50-მდე კომპანიამ, 20-მდე ქვეყნიდან. ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ რეკლამაში, მარკეტინგში, საზოგადოებასთან ურთიერთობაში მოღვაწე ადამიანები, ასევე, ბიზნესმენები, მეწარმეები და სახელმწიფო სტრუქტურებში ჩართული სპეციალისტები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანი იყო ცოდნის გაღრმავება მარკეტინგული კომუნიკაციების სფეროში. 4 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საერთაშორისო ვორკშოპები, სემინარები, მასტერკლასები;

➤ „**ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალი**“ - მოეწყო ქართველი და უცხოელი შემსრულებლების კონცერტები, სადაც გაჟღერდა ამ ქვეყნების ავთენტური ფოლკლორული მუსიკა. გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის შენარჩუნება-განვითარებაზე. მონაწილეობდა არანაკლებ 5 უცხოური და 10 ქართული ანსამბლი. პროექტი მიმართულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისაკენ;

2. **თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა** - კომისიის მიერ შერჩეული იქნა **16 განაცხადი**. კერძოდ:

➤ **შშმ თეატრალური დასის „ცისარტყელას“ სპექტაკლის - „ჩხიკვა ქორწილის გასტროლი თბილისის ილიას უნივერსიტეტში“** - შშმ ბავშვების თეატრალური დასის „ცისარტყელას“ სპექტაკლის „ჩხიკვა ქორწილის“ გასტროლები ქ. თბილისში ილიას უნივერსიტეტში;

➤ „**ბათუმის ახალგაზრდები - არამალადობრივი საზოგადოებისათვის**“ - ბათუმის 6 სკოლაში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ფორუმ-თეატრი, გაიმართა 6 წარმოდგენა, ძალადობის საკითხზე ჩატარდა ტრენინგები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20-მა ახალგაზრდამ. ჩატარდა 3 მასტერკლასი ფორუმ თეატრის მეთოდოლოგიის დასაუფლებლად. 300-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებში და შესაბამისად ძალადობის პრობლემებთან დაკავშირებულ დისკუსიებში;

➤ „**ქართველი და უცხოელი მხატვრების ერთობლივი პლენერი**“ - გაიმართა ქართველი და უცხოელი მხატვრების ერთობლივი პლენერი, პლენერის ფარგლებში შეიქმნა ნამუშევრები, მოეწყო ექსკურსია, გაიართა დასკვნითი გამოფენა;

➤ „**მონო პიესების ფესტივალი**“ - შეირჩა დრამატურგები, რომლებაც შექმნენ მონო-პიესები მონო-ფესტივალისთვის. შემდეგ შეირჩა რეჟისორები და მსახიობები. დაიდგა 5 სპექტაკლი, რომელიც გაიმართა სხვადასხვა სივრცეებში;

➤ „**ჩვენი გარემო-ჩვენი სიამაყე**“ - მოეწყო მუსიკალური პერფონმანსები, ქალაქის დაბინძურების პრობლემებზე მოხდა სიუჟეტების გადაღება, შეიღება 7 ნაგვის ურნა, პროექტში ჩართული იყო მოხალისეები;

➤ „**საზაფხულო სკოლა მოდებატეებისათვის ბორჯომი - 2015**“ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიმოთესუბანში არსებულ „ეკო-კოტეჯებში“ მოეწყო საზაფხულო სკოლა, სადაც განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები: ტრენინგები, ლექცია-სემინარები, ჩემპიონატი დებატებში და კულტურულ გასართობი ღონისძიება (ექსკურსია-ლაშქრობა). სკოლის მსმენელები იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები (სულ 36 მონაწილე);

- „ეკოლოგიური ცნობიერება და გარემოსდაცვითი განათლება“ - ჩატარდა სემინარები, მოეწყო დისკუსიები, სადაც ნათლად წარმოჩნდა ბათუმის ეკოლოგიური პრობლემები, ამდლდა სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების ეკოლოგიური ცნობიერება და ეკოლოგიური კულტურა, სტუდენტები გაეცნო აგროსერვისცენტრის ეკოლოგიურ ბიოპროდექტს, ქალაქის სანდასუფთავებისა და ბათუმის წყლის ადლიის გამწმენდი ნაგებობის მუშაობის პრინციპებს;
- „აცეკვებული ფერწერა“ - მოეწყო დიდი ქართველი სცენოგრაფის სოლიკო ვირსალაძის ნამუშევართა ჩვენება. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სოლიკო ვირსალაძის მიერ სუბიშვილებისათვის შექმნილი ესკიზები და ნამუშევრები;
- „თანამედროვე ხედავ“ - დაიწერა ისეთი პიესა, რომლის აღქმაც შეუძლიათ შშმ პირთა თემში შემავალ სხვადასხვა სოც. ჯგუფებს. (მხედველობისა და სმენის არმქონე პირებს) შემდეგ ეტაპზე შეირჩა მონაწილეები, მათ შორის შშმ პირები. დაიდგა სპექტაკლი „არტ ვეი კლუბის სარდაფში“;
- „ზაფხულის ღამის სიზამარი“ - განხორციელდა სპექტაკლის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ აღდგენა, განახლდა კოსტიუმები, დეკორაცია. სპექტაკლი ნაჩვენები იყო ექსპერიმენტულ სივრცეში, მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისათვის და ქალაქში არსებული თავშესაფრის ბინადართათვის;
- „მსხვერპლშეწირვა“ - მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება. ფილმში ასახული იქნა ის ტრადიციები, რომლებიც ქართულ რეალობაში მყარადაა გამჯდარი და ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბებას ხელს უშლის;
- „მესამე ნაპირი“ - დაიდგა სპექტაკლი „მესამე ნაპირი“ (გრიგოლ რობაქიძის ემიგრანტული ცხოვრება);
- „სამოქალაქო აღზრდა, ინდივიდუალური და მორალური პასუხისმგებლობის სტიმულირება მოზარდებში“ - ჩატარდა ტრენინგები, რომლის შედეგად გადამზადდა საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის 40-მდე მასწავლებელი. პროექტის ამოცანა იყო დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მომზადება სადამრიგებლო საათის გამოყენების მიზნით, რათა მათ შეძლონ მოსწავლეთა ჩართულობა და მონაწილეობა საზოგადო და სასკოლო ცხოვრებაში. ასევე პროექტი ითვალისწინებდა მასწავლებელთათვის დამხმარე სახელმძღვანელოს „ყოფაქცევის კულტურას“ გამოყენების გაცნობას;
- „ექიმები არ ხუმრობენ“ - გაიმართა გასართობი შოუ პროგრამა „ექიმები არ ხუმრობენ“;
- „ვიდეო დოკუმენტური ფილმი „ჯარისკაცის მამა“ - განხორციელდა აღნიშნული ფილმის გადაღება;
- „სკოლამდელი განათლების სერვისის ხელშეწყობა“ - 10 საბავშვო ბაღში განხორციელდა სანიტარული, ფსიქოლოგიის და გენდერული განათლების კუთხით ცოდნის ამადლება. 60 პერსონალი, 90 მშობელმა და 200 აღსარდელმა შეისწავლეს მცენარეთა მოვლა. ჩატარდა 10 ტრენინგი, ერთ პილოტურ ბაღში ჩატარდება მშობელთა შემოქმედებითი საღამო, შეიქმნა „მამების და ბაბუების კლუბი“.

ჯანდაცვა

2016 წელს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა (და კვლავაც გრძელდება) მრავალი **გენდერულად მგრძნობიარე პროგრამა**, რომლის ფარგლებში ისარგებლას: **7602 ქალბატონმა და 7162 მამაკაცმა**

2016 წელი

1. **ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა - 21 000 ლარი**
შედეგი: პროგრამის ფარგლებში ისარგებლა **1 635 ქალმა**, რომლის მიზანი, ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დროული მკურნალობის ჩატარება იყო.
2. **„ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა“ - 331 000 ლარი.** მედიკამენტები მიეწოდა წლის განმავლობაში:
 - 313 ბრონქული ასთმით დაავადების მქონე 19 წლამდე ასაკის პირს, 0-100000 მდე სარეიტინგო ქულის მქონე შშმ პირსა და ასაკით პენსიონერებს;
 - 375- ეპილეფსიით დაავადებულ 19 წლამდე ასაკის პირს, 0-100000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, შშმ პირსა და ასაკით პენსიონერებს;
 - 1575 მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პირს;
 - 0-დან 100 000 ქულის მქონე, შ.შ.მ. პირებსა და ასაკით პენსიონერებს;
 - 56 პარკინსონით დაავადებულ 0-დან 100 000 ქულის მქონე შ.შ.მ. პირსა და ასაკით პენსიონერებს;
 - მატერიალური დახმარება გაეწია 15 ფენილკეტონურიით დაავადებულ პირებს საკვები დანამატების შეძენის მიზნით. ბენეფიციართა რაოდენობა: **8 ქალბატონი; 7 მამაკაცი.**
3. **ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა - 23700 ლარი.** ერთწლამდე ასაკის ქ. ბათუმში რეგისტრირებულ **180 ბავშვს** ჩაუტარდა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსი.

4. ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია - 86 700 ლარი. სარეაბილიტაციო კურსი გაიარა 18 წლის ზემოთ ფსიქიური პრობლემის მქონე 25 პირმა (13 ქალბატონი; 12 მამაკაცი).
5. მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა - 84 000 ლარი. სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებით ისარგებლეს:
- ქ. ბათუმის მერიის უფასო მუნიციპალური სასადილოების 57 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე და ნავთობგადამამუშავებელი ტერმინალის უფასო სასადილოს 530 ბენეფიციარმა (371 ქალბატონი; 159 მამაკაცი);
 - 18 წლამდე ასაკის შ.შ.მ. სტატუსის მქონე 1-მა ბავშვმა.
6. C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება - 270 700 ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკური კვლევები და პაციენტთა მკურნალობის მონიტორინგი და დიაგნოსტიკა - 2524 ბენეფიციარზე (297 ქალბატონი; 2227 მამაკაცი).
7. შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია - 197 900 ლარი. მომსახურეობით ისარგებლა: 215 ქალბატონი; 93 მამაკაცი. მათ შორის:
- ურეკი - 75-75 შშმ პირების, ომის ინვალიდების და მათი თანმხლები პირების, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების მომსახურება;
 - წყალტუბო -9-9 შშმ პირების, ომის ინვალიდების და მათი თანმხლები პირების მომსახურეობა
 - ბაკურიანი - 70-70 შშმ. პირების, ომის ინვალიდების და თანმხლები პირების მომსახურეობა;
 - ტრანსპორტირების ხარჯი.
8. ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკის - 21000 ლარი. განხორციელდა:
- ასთმით დაავადებულთა კონსულტაცია - 286 პაციენტი;
 - ასთმით დაავადებულთა გამოკვლევა - 248 პაციენტი;
 - იმუნოგლობულინის E განსაზღვრა სისხლში - 122 პაციენტი;
 - დიაბეტით დაავადებულთა კონსულტაცია - 1000 პაციენტი;
 - დიაბეტით დაავადებულთა გამოკვლევა - 980 პაციენტი.
9. ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია - 149800 ლარი. 4960 სმენის დარღვევის მქონე ბენეფიციარს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და აუდიოლოგიური სქრინინგი. მათ შორის:
- 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების და სმენის დარღვევების მქონე ბავშვს;
 - 3-12 წლამდე ასაკის ბავშვთა რეაბილიტაცია და შეფერხების მქონე ბავშვების მშობელთათვის ტრენინგ-სემინარი - (140 ბენეფიციარი).
10. ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება - 150 200 ლარი. ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტებს:
- გაეწიათ ყოველთვიური კომპენსაცია 60 ლარის ოდენობით - 124 ბენეფიციარზე (50 ქალბატონი; 74 მამაკაცი);
 - ასევე ლეიკემიით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის 22 ბავშვს ყოველთვიურად გაეწია დახმარება 200 ლარის ოდენობით (9 ქალბატონი; 13 მამაკაცი).
11. მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება - 854200 ლარი. მედიკამენტების შეძენისათვის და ოპერაციული და ონკოლოგიური მკურნალობის თანადაფინანსებით დახმარება გაეწია 3100 ბენეფიციარს (1 075 ქალბატონი; 2 025 მამაკაცი), მათ შორის:
- მედიკამენტების შეძენისათვის 2154 ბენეფიციარს;
 - ხოლო ოპერაციული და ონკოლოგიური მკურნალობისათვის 946 ბენეფიციარს.
12. ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარების ქვეპროგრამა - 1 055 000 ლარი., სასწრაფო სამედიცინო დახმარების 169 თანამშრომელი. დამატებით მუშაობდა 3 ბრიგადა და 36 თანამშრომელი.
13. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი - 84653 ლარი. შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო, საამღმრდელო და ასევე ქ. ბათუმის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა:
- ჩამონაბან-ჩამონარეცხები აღებული იქნა (8800);
 - კალორაჟი განისაზღვრა (312);
 - ბაღებსა და უფასო მუნიციპალურ სასადილოებში, განათების კოეფიციენტის განისაზღვრა (245);
 - აუზის წყლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევა ჩატარდა (16);
 - სტომატოლოგიური კაბინეტებისა და სილამაზის სალონების ლაბორატორიული მონიტორინგი განხორციელდა სტერილობაზე (300 ერთეული);
 - სადენზიფიკაციო საშუალებების ქიმიური კვლევა (70);

- მუსიკალური ხმაურის განისაზღვრა (60);
- განხორციელდა კვების პროდუქტების მონიტორინგი საბავშვო ბაღებში (240);
- კვების პროდუქტების მონიტორინგი მუნიციპალურ სასადილოებში (96).

14. სანიტარული დაცვის ღონისძიებების ქვეპროგრამა - 302 396.80 ლარი:

- ნაგავგამტარების დეზინსექცია თვეში ერთჯერ 12 თვე (სულ-75);
- ნაგავგამტარების დეზინსექცია დამატებით, თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი (სულ-78);
- მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი 700 ობ. (სულ-8400);
- ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია წლის განმავლობაში (სულ-10000ც);
- ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია თვეში ორჯერ მაისი-ოქტომბერი 7,2 ჰა, (სულ-86.40);
- ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია ყოველთვიურად 1050 ობ. (სულ-12600);
- ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია თვეში ერთჯერ მაისი-ოქტომბერი 100 ობ. (სულ-600).

15. ცხოველების (სულ-5000) მიუსაფარი ძაღლების, კატების დაჭერა და ტრანსპორტირება, სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ვაქცინაცია და დაბირკვა - 240 000 ლარი.

2015 წელი

1. ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 269.0 ათასი ლარი:

- ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 318 ბენეფიციარი;
- ეპილევსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 310 ბენეფიციარი;
- მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 1500 ბენეფიციარი;
- პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 59 ბენეფიციარი.

შედეგები: დაავადების სტაბილიზაცია; ინვალიდობის პრევენცია; დაავადებათა რეციდივების თავიდან აცილება; გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა.

2. ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და ოპერაციული მკურნალობა - 82.9 ათასი ლარი:

- 35-დან 40 წლამდე და 70 წლის ზემოდ ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია 512 ბენეფიციარი;
- ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის ონკო მარკერებით გამოკვლევა; საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით 610 ბენეფიციარი;
- 25-დან 70 წლამდე ასაკის ქალებისათვის საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და ექსოკოპია 817 ბენეფიციარი;
- საშვილოსნოს ყელის დაზიანების (დისპლაზიის, ექტოპიის) ოპერაციული მკურნალობა 34 ბენეფიციარი;
- 50-დან 70 წლამდე ასაკის მამაკაცებისათვის, რომელსაც აქვთ PSA მომატებული რაოდენობა სისხლში, უროლოგის უფასო კონსულტაცია 19 ბენეფიციარი;
- 45-დან 50 წლამდე ასაკის და 70 წლის ზემოდ ასაკის მამაკაცებისათვის PSA განსაზღვრა სისხლში.

შედეგები: ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია; ინვალიდობის პრევენცია; გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა.

3. მეწე-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობა და ახალშობილთა სკრინინგი - 49.4 ათასი ლარი

- თანდაყოლილი ამოვარდნილობის და დისპლაზიის მკურნალობა (169 ბავშვი);
- ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა (4919 ბავშვი).

შედეგები: ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია; ინვალიდობის პრევენცია; ბავშვთა განვითარების შეფერხების მინიმიზაცია.

4. ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია - 84.4 ათასი ლარი. ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია 25 ბენეფიციარზე. ყოველთვიურად კვირაში 5-ჯერ.

შედეგები: ოჯახურ სივრცეში და თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესება; თვითშეფასების ამაღლება; უნარჩვევების გამომუშავება.

5. სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება - 96.7 ათასი ლარი.
ზედა და ქვედა ყბის პროტეზირება, გვირგვინის დამზადება, რენტგენოგრაფია, პერიდონტიტის მკურნალობა, კბილების ექსტრაქცია. პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება გაეწია 463 ბენეფიციარს.

შედეგები: გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა; გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.

6. ქ.ბათუმში მცხოვრები ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა - 72.3 ათასი ლარი

- კომპენსაციის გაწევა ყოველთვიურად შემოერთებული ტერიტორიების მცხოვრებთათვის (21 ბენეფიციარი);
- კომპენსაციის გაწევა ყოველთვიურად ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები პაციენტებისათვის (85 ბენეფიციარი).

შედეგები: გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა; გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.

7. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა - 292 000 ლ:

- 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის წელიწადში ორჯერ მატერიალური დახმარება (6 ბენეფიციარი);
- 18 წლის ზემოთ ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული პირებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება (6 ბენეფიციარი).

შედეგები: დაავადების სტაბილიზაცია; ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

8. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მხარდაჭერა - 1,080.0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სუბსიდირება ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის მაღალხარისხიანი უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევის - პირველადი პრეჰოსპიტალური სასწრაფო-სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით. კაპიტალის ზრდა - ავტომობილების შეძენის მიზნით.

შედეგები: პირველადი სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მომსახურების ხარისხის ზრდა; მოსახლეობის გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.

9. მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა - 43.6 ათასი ლარი. პროგრამით განხორციელდა ქ. ბათუმში მცხოვრები მწვავე ლეიკემიით დაავადებული 20 ბავშვის სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა.

შედეგები: დაავადების კონტროლი და სტაბილიზაცია; შემსუბუქებული სოციალური მდგომარეობა.

10. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია - 88.5 ათასი ლარი
საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაციის პროგრამით ისარგებლა 185 ბენეფიციარმა.

შედეგები: უნარჩვევების გამომუშავება; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

11. სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა და სქრინინგი - 128.8 ათასი ლარი. C ჰეპატიტის დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება.

შედეგები: ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია; გაუმჯობესებული ჯანმრთელობა და სოციალური მდგომარეობა.

12. მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება - 49.1 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში, აუცილებელი მედიკამენტებით და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა ისარგებლა 90 ბენეფიციარმა.

შედეგები: გაუმჯობესებული სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

13. მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა - 20.0 ათასი ლარი.

შედეგები: გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა; გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

14. ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მონიტორინგი და დიაგნოსტიკა - 8.0 ათასი ლარი:

- ბრონქული ასთმით, ასთმური და მორეციდივე ბრონქიტით და ქოლ-ით დაავადებული პაციენტებისათვის ექიმ-ალერგოლოგის კონსულტაცია (500 ბენეფიციარი);
- ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტებისათვის სპირომეტრიული გამოკვლევა (250 ბენეფიციარი);
- იმუნოგლობულინის E განსაზღვრა სისხლში (500 ბენეფიციარი).

შედეგები: გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა; გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

15. სამედიცინო დახმარების კომპონენტი - 850.0 ათასი ლარი:

- დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის (2600 პირი);
- გეგმიური ოპერაციული და ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის თანადაფინანსება (780 პირი);

შედეგები: გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა; გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

14. სანიტარული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებები - 266.1 ათასი ლარი:

- ნაგავგამტარების დეზინსექცია;
- ნაგავგამტარების დეზინსექცია დამატებით, თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი;
- მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ;
- ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია;
- ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია თვეში ორჯერ მაისი-ოქტომბერი;
- ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია ყოველთვიურად;
- ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, ეზოებისა და სარდაფების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სხვენის დეზინსექცია თვეში ერთჯერ (მაისი-ოქტომბერი).

შედეგები: გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა; გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

15. განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ადრეული რეაბილიტაცია - 45.3 ათასი ლარი. რეაბილიტაციის კურსის ჩატარება (30 ბენეფიციარი); ტრენინგ-სემინარების ჩატარება.

შედეგები: გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა; გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

16. სმენის დარღვევების ბავშვთა რეაბილიტაცია - 21.6 ათასი ლარი. ქ. ბათუმში რეგისტრირებული 3-დან 12 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (15 ბავშვი).

შედეგები: გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა; გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

17. ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი - 77.6 ათასი ლარი.

ჩამონახანის აღება (7700), კალორაჟის განსაზღვრა (312) განათების კოეფიციენტის განსაზღვრა (410), აუზის წყლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევა (16), სტომატოლოგიური კაბინეტების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე სადენზიფიკაციო საშუალებების ქიმიური კვლევა (70), მუსიკალური ხმაურის განსაზღვრა (60) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში პროდუქტების ლაბორატორიული მონიტორინგი (20), უფასო მუნიციპალურ სასადილოებში პროდუქტების მონიტორინგი (12).

შედეგები: გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა; გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

2014 წელი

1. ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 222.2 ათასი ლარი.

➤ ბრონქული ასთმით დაავადებულ 319 ბენეფიციარს მიეწოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი წელიწადში ერთხელ

➤ ეპილევსიით დაავადებულ 290 ბენეფიციარს ყოველთვიურად მიეწოდებოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი

➤ მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ 1067 ყოველთვიურად მიეწოდებოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი

➤ პარკინსონით დაავადებულ 65 ბენეფიციარს ყოველთვიურად მიეწოდებოდა მათთვის განკუთვნილი მედიკამენტი

შედეგები: დაავადების სტაბილიზაცია; ინვალიდობის პრევენცია; დაავადებათა რეციდივების თავიდან აცილება; გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა.

2. ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და ოპერაციული მკურნალობა - 68.9 ათასი ლარი. მომსახურეობა გაეწია: ექოსკოპია 700 პაციენტს, ონკომარკერი 500 პაციენტს და საშილოსნოს ყელის დაზიანების ამოკვეთა 160 პაციენტს.

შედეგები: ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია; ინვალიდობის პრევენცია; გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა.

3. მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობა და ახალშობილთა სქრინინგი - 47.2 ათასი ლარი. სამედიცინო მომსახურეობა გაეწია სმენით სქრინინგი 4 500 ბავშვს, დისპლაზიის რეაბილიტაცია მკურნალობა გაეწია 170 ბავშვს.

შედეგები: ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია; ინვალიდობის პრევენცია; ბავშვთა განვითარების შეფერხების მინიმიზაცია;

4. ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია - 57.0 ათასი ლარი. 25 პირს უტარდებოდა ერგოთერაპია, არტთერაპია, ფსიქოლოგიური დახმარება, პირები ჩართული არიან სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, ხდება საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

შედეგები: ოჯახურ სივრცეში და თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესება; თვითშეფასების ამაღლება; უნარ-ჩვევების გამომუშავება.

- 5. სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება** - 87.5 ათასი ლარი. ზედა და ქვედა ყბის პროტეზირება, გვირგვინის დამზადება, რენტგენოგრაფია, პერიდონტიტის მკურნალობა, კბილების ექსტრაქცია. პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურება გაეწია 486 ბენეფიციარს.
- შედეგები:** გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა; გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.
- 6. ქ. ბათუმში მცხოვრები ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა** - 63.0 ათასი ლარი. ყოველთვიურად საშუალოდ სარგებლობდა 102 პირი, აქედან შემოერთებული ტერიტორიებიდან 25 პირი, ხოლო ქალაქ ბათუმში მცხოვრები 77 პირი;
- შედეგები:** გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა; გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.
- 7. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა** - 22.8 ათასი ლარი. მატერიალური დახმარება მიიღო ორჯერადად 500 და 800 ლარის ოდენობით 6 ბენეფიციარმა, ხოლო 1 500 ლარის ოდენობით 5 ბენეფიციარმა.
- შედეგები:** დაავადების სტაბილიზაცია; ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- 8. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მხარდაჭერა** - 750.5 ათასი ლარი. შპს „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ სუბსიდირება, მაღალხარისხიანი უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევის - პირველადი პრეჰოსპიტალური სასწრაფო-სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით და ახალშობილთა ტრანსპორტირებისათვის საჭირო კუვეზის შემენისათვის კაპიტალის ზრდა. 2014 წლის განმავლობაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ მიღებულმა გამოძახებების საერთო რაოდენობამ **84 000 შეადგინა**.
- შედეგები:** პირველადი სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მომსახურების ხარისხის ზრდა; მოსახლეობის გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.
- 9. მწვავე ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა** - 22.6 ათასი ლარი. განხორციელდა ქ. ბათუმში მცხოვრები მწვავე ლეიკემიით დაავადებული 15 ბავშვის სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით უზრუნველყოფა.
- შედეგები:** დაავადების კონტროლი და სტაბილიზაცია; შემსუბუქებული სოციალური მდგომარეობა.
- 10. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო სამკურნალო რეაბილიტაცია** - 59.9 ათასი ლარი. პროგრამით ისარგებლა 110 ბენეფიციარმა: **55 შშმ პირმა** და 55 თანმხლებმა.
- შედეგები:** უნარჩვევების გამომუშავება; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.
- 11. სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა და სქრინინგი** - 134.4 ათასი ლარი. ღვიძლის ფუნქციური კვლევებით ისარგებლა **2000 ბენეფიციარმა**, მაღალი მაჩვენებლის ანტისხეულების განსაზღვრისთვის, ისარგებლა **600 ბენეფიციარმა**, ანტი-HCV დადებითის მქონე პირებს ჩაუტარდათ დიაგნოსტიკური კვლევა, პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის PCR-ს განსასაზღვრავად **336 ბენეფიციარს** და PCR დადებითის მქონე პირებს დიაგნოსტიკური კვლევა გენოტიპის განსასაზღვრავად ჩაუტარდა **194 ბენეფიციარს**.
- შედეგები:** ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პათოლოგია; გაუმჯობესებული ჯანმრთელობა და სოციალური მდგომარეობა.
- 12. სოციალურად დაუცველ მოხუცებულთა დახმარება და შინმოვლა** - 96.3 ათასი ლარი. აუცილებელი მედიკამენტებით და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა - ისარგებლა 80 ბენეფიციარმა.
- შედეგები:** გაუმჯობესებული სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- 13. სამედიცინო დახმარების კომპონენტი** - 280.0 ათასი ლარი. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; **შ.შ.მ. პირებს, ომის ვეტერანებს; ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილეებს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს** (დედა, მამა, მეუღლე, შვილები); **მრავალშვილიანი** (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრებს; **მარტოხელა დედებს** და მათ შვილებს. დაუფინანსდებათ მედიკამენტოზური მკურნალობა **495 ბენეფიციარს**.
- შედეგები:** გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა; გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

სოციალური პროექტები

2017 წელი

- 1. კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება** - განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
- წყლისა და კანალიზაციის და დასუფთავებისათვის მოსაკრებელზე გადასახადის უზრუნველყოფაზე მომსახურება გაეწია **13.729** - მდე ბენეფიციარს, აქედან: **10.396**- 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველ პირს,

მრავალშვილიან ოჯახებს (5 და მეტი შვილი), მარტოხელა მშობლებს (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) და მათ შვილებს, **1.599**- მკვეთრად გამოხატული შშმ პირს, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვებს, **1.734** - ვეტერანს, მათთან გათანაბრებული პირებს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს და მარჩენალ დაკარგულებს.

➤ სატელეფონო-სააბონენტო გადასახადზე შეღავათი მიიღო **851** ბენეფიციარმა, აქედან **232** - მკვეთრად გამოხატულმა შშმ პირმა, მათ შორის შშმ სტატუსის მქონე ბავშვმა და **619** ვეტერანმა, მათთან გათანაბრებულმა პირებმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალდაკარგულებმა.

➤ გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების **90%** თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გახაზრამდე გაეწია **244** ბენეფიციარს, აქედან **20** მკვეთრად გამოხატულ შშმ პირს, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვებს, **119** ვეტერანს, მათთან გათანაბრებული პირებს, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს და მარჩენალ დაკარგულებს, **105 0-70000** ქულის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

➤ ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალ დაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება - ღონისძიების ფარგლებში ყოველთვიურად **5 კგ** თხევადი აირი შეიძინა **122**-მდე ვეტერანმა, მათთან გათანაბრებულმა პირებმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალ დაკარგულებმა. აქედან რეალიზირებულია **1.211** თხევადი აირის ტალონი.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 14.946 ბენეფიციარმა.

2. მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა - განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

➤ 15 თებერვალს მატერიალური დახმარება გაეწია სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ **5** ვეტერანს; 9 მაისსთან დაკავშირებით - II მსოფლიო ომის **36** ვეტერანს და **15** - II მსოფლიო ომში დაღუპული პირის ოჯახის წევრს, ს.27 სექტემბერს **74** საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის ბრძოლებში დაინვალიდებულ და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს. ახალ წელთან დაკავშირებით - **125** სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ, საქ. ტერ. მთ.ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაინვალიდებულ ვეტერანებს, II მსოფლიო ომის ვეტერანს და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრს.

➤ ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია პირველ ბავშვზე **0-100 000** ქულის მქონე **11** ოჯახს, მე-2 ბავშვზე - **0-100 000** ქულის მქონე **38** ოჯახს, ყოველ მე-3 ბავშვზე - **380** ოჯახს, ყოველ მე-4 ბავშვზე - **50** ოჯახს, ყოველ მე-5 და მე-6 ბავშვზე **22** ოჯახს;

➤ მატერიალური დახმარება გაიცა მრავალშვილიან **0-70000** სარეიტინგო ქულის მქონე საშუალოდ **139** სამშვილიან ოჯახზე, **0-70000** სარეიტინგო ქულის მქონე **49** ოთხშვილიან ოჯახზე, **120** ხუთი და ხუთზე მეტ მრავალშვილიან ოჯახზე, **193** - მარტოხელა მშობელზე (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა); **24** უდემამო ბავშვზე.

➤ მატერიალური დახმარება გაიცა ასევე **25** გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და **56** გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი პირის **0-70000** სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრზე;

➤ ბავშვის მოვლის საშუალებების შესაძენად ყოველთვიურად მატერიალური დახმარება გაეწია **0-100 000** ქულის მქონე საშუალოდ **79** ოჯახს.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 1.316 ბენეფიციარმა.

3. მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება

➤ მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის **50 %-იანი** შეღავათით, ისარგებლა საშუალოდ **27.250** - მდე მასწავლებელმა, საბავშვო ბაღების და ბილიოთეკების თანამშრომლებმა, სტუდენტებმა, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, ასაკით პენსიონერებმა და განხორციელდა - **1.947.529**. შეღავათიანი მგზავრობა, საშუალოდ **6** მგზავრობა ერთ ბენეფიციარზე. ბენეფიციართათვის, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალური ტრანსპორტის

➤ საფასურის **100%-იანი** შეღავათით ისარგებლა **40.600** - მდე ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარმა ვეტერანებმა და მათთან გათანაბრებულმა პირებმა, **0-70 000** ქულის მქონე ბენეფიციარებმა, შშმ პირებმა, მოსწავლეებმა და განხორციელდა **4.104.224** უფასო მგზავრობა, საშუალოდ **8 მგზავრობა ერთ ბენეფიციარზე.**

4. მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება.

➤ მოხუცებულთა თავშესაფარში ყოველდღიურად მომსახურება ეწეოდა **122** მზრუნველობას მოკლებულ პირს, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით.

➤ ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე **90** პირს, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო სამედიცინო დახმარებით (პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია) ყოველდღიურ საქმიანობაში მხარდაჭერით (განათლება, უნარების

განვითარება, პერსონალური ჰიგიენის მოწესრიგება) პაციენტებისა და ახლობლების ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარებით (მხარდაჭერა, ჯანსაღი სოციალური გარემოს შესაქმნელად, ასევე საჭირო სერვისების მისაღებად).

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 212 ბენეფიციარმა.

5. მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა - მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის ფარგლებში, დაკმაყოფილდა 2 (ორი) მრავალშვილიანი ოჯახის საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის საკითხი.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 2 ოჯახმა.

6. მუნიციპალური უფასო სასადილო 4 021 ბენეფიციარზე - სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფას 6 მუნიციპალური სასადილოს საშუალებით. ბენეფიციარებს ყოველდღიურად გადაეცემათ ახალი, ცხელი კერძები. სასადილოები აღიჭურვა ახალი სამზარეულოს ჭურჭლითა და აქსესუარებით, სისტემატურად მიმდინარეობდა სასადილოს შენობების დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია კანონით დადგენილი ნორმების სრული დაცვით. სასადილოებს ყოველთვიური გრაფიკით მოეწოდებოდა საწმენდი-საპირალბელი და ჰიგიენური საშუალებები, შესაბამისი ქსოვილის ნივთებით. სამაცივრე დანადგარები სრულად იქნა აღჭურვილი თერმომეტრებით. ბენეფიციარების მხრიდან სასადილოს მუშაობა შეფასდა დადებითად

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 4021 ბენეფიციარმა.

7. დროებითი ღამის თავშესაფარი - მომსახურება გაეწია საშუალოდ 45 - მდე ბენეფიციარს თითოეული დღის განმავლობაში. ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ საუზმითა და ვახშამით, ასევე სარგებლობდნენ სუფთა თეთრეულით, ჰიგიენური საშუალებებით და საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური მედდის სამედიცინო დახმარებით, შესაბამისი პირველადი ფარმაცევტული პროდუქტებითა და სამედიცინო მოწყობილობებით. შენობას ყოველთვიურად უტარდებოდა დეზინსექცია და დერატიზაცია. თავშესაფარს ბენეფიციართათვის მიეწოდებოდა საწმენდი-საპირალბელი და ჰიგიენური საშუალებები შესაბამისი ქსოვილის ნივთებთან ერთად.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 45 ბენეფიციარმა.

8. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა - 3 საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან: ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრი, ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება "ომგადახდილი" და ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია“, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოადგინილია ოთხივე კვარტლის ანგარიში სხვა დ ასხვა ღონისძიებებისათვის (საკანცელარიო, ოფისის, კომუნალური, სამივლინებო და საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა) გაწეული ხარჯების, დასაფარავად.

2015 წელი

1. სოციალურად დაუცველი ფენის ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა - გათვალისწინებულია 3 042 ბენეფიციარზე. მათ ყოველდღიურად გადაეცემათ ახალი, ცხელი კერძები. შენობებს ჩაუტარდა კოსმეტიკური სამუშაოები, დამონტაჟდა ახალი ტექნიკა (წყლის გამაგამათბობელი-ბოილერები, ვერტიკალური კონდიციონერები, გაზის გამათბობლები, ჩამოსაკიდი კონდიციონერები, ელექტრო მიქსერები), მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დამონტაჟდა ვიდეო სათვალთვალო კამერები, სასადილოები სრულად აღიჭურვა სამზარეულოს ჭურჭლითა და აქსესუარებით, რომელიც შესყიდული იქნა სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე. სისტემატურად მიმდინარეობს სასადილოს შენობების დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაცია კანონით დადგენილი ნორმების სრული დაცვით. დღეის მდგომარეობით სასადილოების მუშაობა მიმდინარეობს დაბრკოლებების გარეშე.

2. მკვეთრად გამოხატული შშმ პირების შეღავათებით უზრუნველყოფა - მომსახურება გაეწია:

➤ 1212 მკვეთრად გამოხატულ შშმ პირს სანდასუფთავების, წყლისა და კანალიზაციის გადასახადით უზრუნველყოფა (ერთეულის ფასი 3,15 ლარი)

➤ 227 მკვეთრად გამოხატულ შშმ პირის სააბონენტო გადასახადიდან განთავისუფლება (ერთეულის ფასი -5 ლარი და 20 ერთეულის ფასი - 4 ლარი)

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 1.439 ბენეფიციარმა.

3. მატერიალური დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთ წლამდე ასაკის ახალშობილზე - ყოველთვიურად მატერიალური დახმარება გაეწია 0-70000 ქულის მქონე 393 ოჯახს ყოველ ერთ წლამდე ახალშობილზე 60 ლარის ოდენობით, ბავშვის მოვლის საშუალებების შესაძენად.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 393 ოჯახმა.

4. ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალ დაკარგულთა შელაგებებით უზრუნველყოფა - განხორციელდა:

➤ უკვდავყოფისა და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება კერძოდ მემორიალის შემკობა (15 თებერვალი, 9 მაისი, 26 მაისი, 27 სექტემბერი);

➤ მატერიალური დახმარების გაცემა: სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულ 5 ვეტერანზე -- თითოეულზე 300 ლარი. 9 მაისთან დაკავშირებით 46-II მსოფლიო ომის ვეტერანზე 300 ლარის ოდენობით და 14 - II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე, 200 ლარის ოდენობით. 27 სექტემბერთან დაკავშირებით 73 საქ.ტერ.მთ.ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე და ინვალიდებზე 300 ლარის ოდენობით.

➤ 30 გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით;

➤ ფაშიზმზე გამარჯვებისადმი მიძღვნილი საზეიმო ბანკეტი

➤ ვეტერანთა საზოგადოებაზე დახმარების გაწევა სუბსიდიის სახით.

➤ 642 ვეტერანისათვის სააბონენტო (625 - 5 ლარი და 17 - 4 ლარი) სააბონენტო გადასახადის დაფარვა;

➤ 1670 ვეტერანისათვის სანდასუფთავების, წყლისა და კანალიზაციის გადასახადით უზრუნველყოფა.(ერთეულის ფასი 3,15 თვეში -- 12 თვე)

➤ ახალ წელთან დაკავშირებით 46 II მსოფლიო ომის ვეტერანზე და 14 II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე,სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული 5 ვეტერანზე და 70 საქ.ტერ.მთ.ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე და ინვალიდებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 300 ლარის ოდენობით თითოეულზე.

➤ თხევადი აირის ტალონით დახმარება 5კგ ოდენობით 100 ვეტერანზე, კერძოდ: 1.ვეტერანს რომელსაც არ გააჩნია კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი და 2..ვეტერანს, რომელსაც მიმდინარე პერიოდისთვის არააქვს საცხოვრებელი ფართი უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 2 580 ბენეფიციარმა

5. უზოგართა და მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა - ისარგებლა 115 ქ. ბათუმში რეგისტრირებულმა მარტოხელა და სოციალურად დაუცველ ოჯახთა მზრუნველობა მოკლებულმა მოხუცებმა (ერთეულის ფასი 15 ლარი).ხოლო აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით დარჩენილი (153 დღე) (ერთეულის ფასი 17 ლარი) მომსახურება გაეწია დამატებით კიდევ 7 მზრუნველობა მოკლებულ ბენეფიციარს,რომლებიც უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, საყოფაცხოვრებო პირობებითა და კვებით.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 122 ბენეფიციარმა.

6. სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

➤ 10790 - 0-დან 70000-მდე ქულის მქონე სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედებისათვის სანდასუფთავების მოსაკრებლის, წყლისა და კანალიზაციის გადასახადით უზრუნველყოფა - ერთეულის ფასი 3,15 ლარი.

➤ 0-დან 100.000 ქულის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახების (სამი და მეტი შვილი), მარტოხელა დედების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის საშუალოდ 81 ბავშვის დაფინანსება სახელოვნებო და სპორტულ დაწესებულებებში,

➤ 0-დან 70.000-მდე ქულის მქონე 84 სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის წევრებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 500 ლარის ოდენობით.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 10 956 ბენეფიციარმა.

7. მატერიალური დახმარების გაცემა ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით - განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

➤ 0-100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების პირველი ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია 11 ოჯახს,

➤ 0-100000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მე-2 ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია 31 ოჯახს,

➤ მე-3 ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია 352 ოჯახს,

➤ მე-4 ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება 57.

➤ მე-5 და მომდევნო ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია 21 ოჯახს.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 472 ოჯახმა.

8. მრავალშვილიანი ოჯახების, უდედმამო ბავშვებისათვის და მარტოხელა დედების მატერიალური დახმარება - მატერიალური დახმარება გაეწია:

- 105 ხუთშვილიან (5 და 5-ზე მეტი შვილი) ოჯახს,
- 28 უდედმამო ბავშვს,
- 89 მარტოხელა დედას,
- 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 106 სამშვილიან ოჯახს.
- 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 40 ოთხშვილიან ოჯახს.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 368 ოჯახმა.

9. საქალაქო ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფა

➤ მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 50 %-იანი შეღავათით, ისარგებლა საშუალოდ 25.051 - მდე მასწავლებელმა, საბავშვო ბაღების და ბილიოთეკების თანამშრომლებმა, სტუდენტებმა, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, ასაკით პენსიონერებმა და განხორციელდა - 1.247.363 შეღავათიანი მგზავრობა, საშუალოდ 6 მგზავრობა ერთ ბენეფიციარზე.

➤ ბენეფიციართათვის, რომლებიც სარგებლობენ მუნიციპალური ტრანსპორტის საფასურის 100%-იანი შეღავათით ისარგებლა 40.608 - მდე ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარმა ვეტერანებმა და მათთან გათანაბრებულმა პირებმა, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარებმა, შშმ პირებმა, მოსწავლეებმა და განხორციელდა 1.304.612 უფასო მგზავრობა, საშუალოდ 8 მგზავრობა ერთ ბენეფიციარზე.

10. გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა - საცხოვრებელი ფართის გაზიფიკაციისას (ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90% თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით (გაუქურამდე)) მომსახურება გაეწია:

- 13 მკვეთრად გამოხატული საერთო დაავადებითა და მხედველობით (შ.შ.მ.პირს,
- 105 ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს,
- 81 0-70000 ქულის მქონე ოჯახს.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 199 პირმა და ოჯახმა.

11. დროებითი ღამის თავშესაფარით უზრუნველყოფა 45 ბენეფიციარზე - განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მათ ყოველდღიურად გადაეცემათ საუზმე და ვახშამი და ასევე სარგებლობენ ღამის გასათევით
- შენობა აღჭურვილია ცენტრალური გათბობით, ცხელი წყლით, სუფთა თეთრეულით, ჰიგიენური საშუალებებით
- ასევე, შენობაში მოწყობილია მედლის კაბინეტი, სადაც ბენეფიციარებს გაუწევს სამედიცინო დახმარებას კვალიფიციური მედდა, შესაბამისი პირველადი ფარმაცევტული პროდუქტებითა და სამედიცინო მოწყობილობებით. ქვეპროგრამის საშუალებით ბენეფიციარებს უფინანსდებათ თანაგადახდით ოპერაციის ხარჯები.
- ყოველთვიურად უტარდება შენობას დეზინსექცია და დერატიზაცია.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 45 ბენეფიციარმა.

12. მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა - მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის ფარგლებში, დაკმაყოფილდა 1 (ერთი) მრავალშვილიანი ოჯახის საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის საკითხი.

სულ ქვეპროგრამით ისარგებლა - 1 ოჯახმა.

13. მკურნალობის მიზნით სოციალურად დაუცველ პირთა სამგზავრო-სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფა - მკურნალობის მიზნით გასამგზავრებელი სატრანსპორტო ხარჯების კომპენსაციით დაკმაყოფილდა / ისარგებლა -

3 ბენეფიციარმა.

2014 წელი

1. სოციალურად დაუცველი ფენის უფასო კვებით უზრუნველყოფა - 1,643.3 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში 0-57000 ქულის მქონე 2623 ბენეფიციარს ყოველდღიურად მიეწოდებოდა ცხელი საკვები ზამთრისა და ზაფხულის მენიუს შესაბამისად.

შედეგები: გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

2. I ჯგუფის უსინათლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შეღავათებით უზრუნველყოფა - 25.4 ათასი ლარი. კომუნალური გადასახადებით (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) უზრუნველყოფილი საშუალოდ 370 I ჯგუფის უსინათლო შშმ პირი, სატელეფონო-სააბონენტო გადასახადით უზრუნველყოფილი საშუალოდ 143 I ჯგუფის უსინათლო შშმ პირი.

შედეგები: სოც. მდგომარეობის გაუმჯობესება; კომუნალური და სატელეფონო-სააბონენტო გადასახადების დაფარვა.

3. ვეტერანებისა, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახების წევრების და მარჩენალდაკარგულთა შეღავათებით უზრუნველყოფა - 187.1 ათასი ლარი.

➤ უკვდავყოფისა და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება (შეიმკო მემორიალი 15 თებერვალს, 9 მაისს, 26 მაისს, 27 სექტემბერს)

➤ 15 თებერვალთან დაკავშირებით სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებულმა 5-მა ვეტერანმა მიიღო ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით

➤ 9 მაისთან დაკავშირებით II მსოფლიო ომის 58 ვეტერანზე გაიცა ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით და II მსოფლიო ომში დაღუპულთა 17 ოჯახის წევრებზე - 100 ლარის ოდენობით

➤ 27 სექტემბერთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში დაღუპულთა 65 ოჯახის წევრებმა და ინვალიდებმა მიიღეს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 200 ლარის ოდენობით

➤ 12 გარდაცვლილ ვეტერანის ოჯახს გაეწია ერთჯერადი მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით

➤ 9 მაისს - ფაშინაშვიტის გამარჯვების დღესთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო ბანკეტი

➤ დახმარება გაეწია ვეტერანთა საზოგადოება „ომგადახდილს“ 2508,50 ლარი და „ავღანელთა კავშირს“ 2400 ლარი სუბსიდიის სახით

➤ პროგრამის ფარგლებში კომუნალური გადასახადებით (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) უზრუნველყოფილი იყო ყოველთვიურად საშუალოდ 1600 ვეტერანი

➤ სატელეფონო-სააბონენტო გადასახადით უზრუნველყოფილი იყო ყოველთვიურად საშუალოდ 679 ვეტერანი

➤ ახალ წელთან დაკავშირებით 100 ლარის ოდენობით ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია II მსოფლიო ომის 58 ვეტერანს და II მსოფლიო ომში დაღუპულთა 14 ოჯახის წევრს

➤ საცხოვრებელის არ მქონე "სოციალურად დაუცველი, I ჯგ.უსინათლო (შ. შ. მ.პ), ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს გაეწია დახმარება თხევადი აირის ტალონით 25 პირს.

შედეგები: გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა; კომუნალური და სატელეფონო-სააბონენტო გადასახადების დაფარვა.

4. უპოვართა და მზრუნველობამოვლელ მოხუცთა მოვლა-პატრონობა - 629.7 ათასი ლარი. დახმარება გაეწიათ უპოვარ და მზრუნველობას მოკლებულ მოხუცებულებს, რომლებთანაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი, არ ჰყავთ ნათესავები და მეურვეები. ყოველდღიურად ხორციელდებოდა 115 ბენეფიციარის მოვლა-პატრონობა, სამედიცინო მომსახურების გაწევა და კვებით უზრუნველყოფა.

შედეგები: მოხუცებულთა გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა; გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა.

5. სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების სოციალური დახმარება - 464.8 ათასი ლარი

➤ 0-დან 70 000 ლარის მქონე 10700 ბენეფიციარის - მარტოხელა დედები და მათი შვილების, მრავალშვილიანი ოჯახების (5 და მეტი შვილი) კომუნალური გადასახადების (წყალ-კანალიზაციის საფასური, დასუფთავების მოსაკრებელი) საფასურის დაფარვა;

➤ 0-დან 100 000 ლარის მქონე, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების საფასურის სრულად 100%-ით დაფარვა;

➤ 0-დან 100 000 ლარის მქონე 100 ბენეფიციარის - მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა დედის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილეთა, დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის ბავშვებისათვის სპორტულ და სახელოვნებო დაწესებულებებში სწავლების საფასურის სრულად დაფარვა;

➤ 0-70 000 ლარის მქონე გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი ბენეფიციარის 100 ოჯახზე დახმარების გაწევა;

➤ უმწეო ხანდაზმულთა ცენტრის კომუნალური ხარჯები დაფინანსება.

შედეგები: გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა; დაფარული კომუნალური გადასახადები

6. ერთჯერადი მატერიალური დახმარება ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე - 221.5 ათასი ლარი

➤ 323 ოჯახს მე-3 შვილის შეძენასთან დაკავშირებით გაეწია მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით.

➤ 36 ოჯახს 700 ლარის ოდენობით მე-4 შვილის შეძენასთან დაკავშირებით, მე-5 და მომდევნო ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით 17 ოჯახს 900 ლარის ოდენობით.

შედეგები: გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა.

7. მრავალშვილიანი და უდედამამო ბავშვების ოჯახებისათვის მატერიალური დახმარება - 225.0 ათასი ლარი

- 3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება 1000 ლარის ოდენობით გაეწია 93 მრავალშვილიან ოჯახს;
- 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით გაეწია 23 უდედმამო ბავშვს;
- სექტემბრის თვეში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით 31 უდედმამო ბავშვს.

შედეგები: გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა.

8. პროფესიული სწავლება - 55.0 ათასი ლარი. ქ. ბათუმში რეგისტრირებული 0-დან 100000-მდე ქულის მქონე და შ.შ.მ პირების პროფესიული სწავლება - პროგრამის ფარგლებში პროფესიული სწავლების კურსი გაიარა 99 ბენეფიციარმა:

- მდივან რეფერენტი - 17 ბენეფიციარი
- კომპიუტერის კურსები - 27 ბენეფიციარი
- ბუღალტერია - 20 ბენეფიციარი
- სტილისტი - 12 ბენეფიციარი
- მასაჟი - 23 ბენეფიციარი.

შედეგები: სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა პროფესიული უნარების განვითარების გზით.

9. საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობაზე შეღავათებით უზრუნველყოფა - 691.8 ათასი ლარი

- მასწავლებლების, მოსწავლეების, სტუდენტების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, პენსიონერების საქალაქო მგზავრობის ღირებულების 10 თეთრით კომპენსაცია (I-III კვარტალი - 206799 მგზავრობა)
- მასწავლებლების, სტუდენტების ასაკით პენსიონერების საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების 50% დაფარვა (IV კვარტალი - 180117 მგზავრობა)
- ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების საქალაქო ტრანსპორტით უფასო მგზავრობით უზრუნველყოფა (I-III კვარტალი - 576 ვეტერანისა და 133 ხანდაზმულის უფასო მგზავრობა)
- ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარების, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირების, მოსწავლეების, საქალაქო ტრანსპორტით გადაადგილების 100% დაფარვა. (IV კვარტალი - 164810 მგზავრობა)

შედეგები: მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით უზრუნველყოფილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობა.

10. გაზიფიკაციის საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა - 205.0 ათასი ლარი. გაზიფიკაციის თანხით უზრუნველყოფილ იქნა 35 - I კვ. უსინათლო შ.შ.მ. პირის ოჯახი, 123 - ვეტერანის ოჯ., 105 - 0-70000 ქულის მქონე ოჯ.

შედეგები: გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა; ენერგორესურსებზე ხელმისაწვდომობა.

11. ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 691.0 ათასი ლარი. აღნიშნულ პროგრამაში კლასიფიცირდებოდა ქ. ბათუმის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებზე გამოყოფილი ერთჯერადი მატერიალური დახმარებები.

12. მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა - 62.3 ათასი ლარი. ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრებ 2 მრავალშვილიან ოჯახს (7 და მეტი შვილი) პროგრამის შესაბამისად უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა საცხოვრებელი ბინები. ოჯახს, რომლებსაც ბინა არ ჩაბარდათ კეთილმოწყობილ მდგომარეობაში, გადაეცათ საკომპენსაციო თანხა - 62 250 ლარის ოდენობით. (1 კვ .მ-ზე 250 ლარის ოდენობით) სარემონტო სამუშაოებისათვის.

შედეგები: მრავალშვილიანი ოჯახების გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;

13. ერთჯერადი მატერიალური დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოველ პირველ და მეორე ახალშობილზე - 21.0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში 0-70 000 ქულის მქონე 17 ოჯახს 1-ი შვილის შეძენასთან დაკავშირებით გაეწია მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით, ხოლო 0-70 000 ქულის მქონე 24 ოჯახს 2-ე შვილის შეძენასთან დაკავშირებით გაეწია მატერიალური დახმარება 400 ლარის ოდენობით.

შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების გაუმჯობესებული სოციალური და მატერიალური მდგომარეობა.

14. დროებითი ღამის თავშესაფარი - 74.6 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში 40 ბენეფიციარისათვის ღამის გათევა,ორჯერადი კვებით (საუზმე,ვახშამი) და სუფთა ტანსაცმლით უზრუნველყოფა. საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა.

შედეგები: გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა; უსახლკაროთა შემცირებული რაოდენობა.

1. რუსუდან სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში - მონაწილეობა მიიღო **6 უცხოურმა გუნდმა (60 სპორტსმენი)**. შეჯიბრება ჩატარდა გუნდური პრინციპით, ასევე პირად პირველობაში, როგორც ვაჟებში ისე გოგონებში. თანადაფინანსება: აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია. მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 29 000 ლარი



2. ევროპის ჩემპიონატი ბილიარდში - ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ პირამიდაში ევროპის ქვეყნების გუნდების მონაწილეობით. ჩემპიონატი განხორციელდა აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თანადაფინანსებით. მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 55 000 ლარი



3. მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში - საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის (მონაწილეობა მიიღო 70 სპორტსმენი). ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 40 000 ლარი



4. საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში ვ.ალთაბაგვის თასზე (18 წლამდე ახალგაზრდებს შორის) - ტურნირში მონაწილეობა მიიღო უცხოურმა გუნდებმა. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 20 000 ლარი



5. საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში პეტრე ბრეუსის თასზე (18 წლამდე ახალგაზრდებს შორის) - ტურნირში მონაწილეობა მიიღო 3 უცხოურმა და 3 ადგილობრივმა გუნდებმა. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 25 000 ლარი



6. საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში - ტურნირში მონაწილეობა მიიღო ბათუმელმა და უცხოურმა ქალთა გუნდებმა. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 20 000 ლარი



7. საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში - ტურნირში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს წამყვანმა მოცეკვავეებმა. ტურნირი განხორციელდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თანადაფინანსებით. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 20 000 ლარი



8. ტურნირი ჩოგბურთში მერიის თასზე - აღნიშნული ტურნირი 3-მე წელია იმართება და მასში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოიყო 10 000 ლარი



9. გ.მენაბდის სახელობის ტურნირი ფეხბურთში - ტურნირში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სპორტის დამსახურებულმა ვეტერანებმა. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოიყო - 7 000 ლარი



10. ქალთა საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში „BATUMI LADIES OPEN“ - ტურნირში მონაწილეობა მიიღო 20 ქვეყნის, 100-მდე ჩოგბურთელმა



➤ ოთარ ცანავას 70 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა, ისე უცხოელმა სპორტსმენებმა. ტურნირის ორგანიზებისათვის გამოიყო 3 784 (სამიათას შვიდასოთხმოცდაოთხი) ლარი.



12. საერთაშორისო ტურნირი ტაეკვონდოში - ტურნირში მონაწილეობ მიიღებო 2 ადგილობრივმა და 3 უცხოურმა გუნდმა, ღონისძიების ორგანიზებისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო 20 000 (ოცი ათასი) ლარი



13. საერთაშორისო საწვრთნელი სემინარი - ჩემპიონატი შოტოკან კარატე დოში - მონაწილეობდნენ ქ. ბათუმისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონის კარატისტები, ასევე უცხოელი სპორტსმენები, მათ შორის **თურქეთის, ირანის, ყაზახეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის წაკრები გუნდები**. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოიყო 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი



14. საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში - ტურნირში მონაწილეობდნენ უცხოური და ადგილობრივი გუნდები. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტით გამოიყო 35 000 ლარი



15. საერთაშორისო ტურნირი ქვიშის რაგბში - ტურნირში მონაწილეობდნენ, როგორც საქართველოს ასევე უცხოეთის გუნდები. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო - 30 000 ლარი



16. მას-რესლინგის ევროპის ჩემპიონატი - მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და უცხოეთის წამყვანმა სპორტსმენებმა. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო 45 000 ლარი

17. საერთაშორისო ტურნირი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში - ტურნირი გაიმართა საბრძოლო ხელოვნების სამ სახეობაში (კარატე, ჯიუ-ჯიცუ და გრეპლინგი). რომელშიც მონაწილეობას მიიღო 15 ქვეყნის 600 -მდე წარმომადგენელმა. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო 20 000 ლარი



18. ქალთა საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფეხბურთში - ტურნირი ჩატარდა შერეული სისტემით, ჯგუფებში წრიული, პლეიოფებში ოლიმპიური სისტემით, მასში მონაწილეობდნენ, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო გუნდების წარმომადგენლები. ღონისძიების ორგანიზებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი



19. სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან საახალწლო-საშობაო შეხვედრა - ბათუმელი ვეტერანები და ახალგაზრდა სპორტსმენები, სპორტული ჟურნალისტები, დაჯილდოვდნენ სპორტის სხვადასხვა საუკეთესო ნომინაციებში; საუკეთესო სპორტსმენი, საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენი, საუკეთესო მწვრთნელი და საუკეთესო სპორტული ჟურნალისტი. ღონისძიების ორგანიზებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო 7 000 ლარი



20. სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (ბიუჯეტი 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი) - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ფინანსური მხარდაჭერა სპორტსმენთა ეკიპირებისა და სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2 სპორტსმენი ჯამში 5 776.9 ლარით. წარმოებაშია 7 სპორტსმენის დაფინანსების საკითხი.

ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

1. ინტელექტუალური თამაშები რა? სად? როდის? - ღონისძიება განხორციელდა სამ ეტაპად:

- ა) მოსწავლეთა ლიგის თამაშები;
- ბ) სტუდენტთა ლიგის თამაშები;
- გ) ბათუმის ღია ჩემპიონატის თამაშები;

თამაშები ჩატარდა „MAK“-ის საერთაშორისო წესების დაცვით, jeopardy! -ჯგუფური ტურნირი, „პლეი-ოფი“ და „ბრეი-რინგი“-ს სისტემით. ღონისძიების ორგანიზებიდან ბიუჯეტიდან გამოიყო 15 000 ლარი



2. ბათუმის ახალგაზრდული თეატრალური კვირეული - ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სტუდენტ-ახალგაზრდულმა თეატრალურმა დასებმა. თეატრალური კვირეულის ფარგლებში გაიმართა მასტერკლასი, მოეწყო თეატრალიზებული მსვლელობები, ნაჩვენები იქნა სპექტაკლები. ღონისძიების ორგანიზებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 26 000 ლარი



3. სამთო-ახალგაზრდული ბანაკი - საზაფხულო ბანაკების მოწყობა საქართველოს მთიანეთში (სვანეთი, რაჭა და ყაზბეგი,) სადაც ახალგაზრდები 8 დღის განმავლობაში ცხოვრობდნენ კარვებში, გამოცდილი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით სწავლობდნენ ტურისტული ტექნიკის გამოყენებას (თოკების ერთმანეთში გადაკვანძვა, სამთო აღჭურვილობის გამოყენებას, კარვის აწყობა, ზურგჩანთის ჩალაგება, მდინარეზე თოკით გადასვლა). ასევე სამთო ბანაკის ფარგლებში დაგეგმილი იყო: სპორტული შეჯიბრებები, ყოველდღიური ლაშქრობები, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საღამოები. ღონისძიების ორგანიზებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 38 000 ლარი



4. **აქტიური ახალგაზრდა მოხალისე** - ღონისძიება ითვალისწინებდა ბათუმის საჯარო სკოლების 14 -18 წლის ახალგაზრდების უნარების გაძლიერებას და მოხალისეობრივ საწყისებზე მათი სამოქალაქო აქტიურობის განვითარებას., მასში **მონაწილეობა მიიღე 27 ახალგაზრდამ**. მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგები: პრევენტაციის მომზადება და პრევენტაციის ტექნიკა, სემინარი. ღონისძიების ორგანიზებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო 6300 ლარი.
5. **ბათუმელი ახალგაზრდების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა** - პროგრამა მიზნად ისახავდა 16-25 წლის ბათუმელი ახალგაზრდების კვალიფიკაციის ზრდის, კონკურენტუნარიანობის, შრომითი ეფექტურობის ამაღლებისა და ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობას, ახალგაზრდების ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო და გაცვლით პროგრამებში ან პროფესიული გადამზადების კურსებში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში **დაფინანსდა 15 ახალგაზრდა და სტუდენტთა ასოციაცია ELSA** ბათუმის ლოკალური ჯგუფი (**სულ 13 მონაწილე**). პროგრამისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო თანხა 20 000 ლარის ოდენობით.
6. **სტუდენტ - ახალგაზრდული დღეები** - რომელშიც მონაწილეობა მიიღო 14-29 წლის ჩათვლით, ბათუმის როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების მოსწავლეებმა და ადგილობრივმა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან მოწვეულმა სტუდენტ-ახალგაზრდებმა, რომლებიც ჩაერთნენ სხვადასხვა შემოქმედებით ღონისძიებებში: გამოფენები, (ფოტო, ფერწერა, ხელნაკეთი ნივთები), ლიტერატურული სადამო, ახალგაზრდების მიერ გადაღებული ფილმების ჩვენება. ღონისძიების ორგანიზებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 50 000 ლარი.



7. ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ - ჩატრდა გასვლითი არასატელევიზიო ფორმატის ინტელექტუალური კონკურსი „ეტალონიში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების VIII, IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეებმა. ღონისძიების ორგანიზებისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო 2 960 (ორი ათას ცხრასამოცი) ლარი.

8. სტუდენტური საზაფხულო დასაქმება - პროგრამა ითვალისწინებდა სტუდენტების დასაქმებას:

ა) სოციალურად დაუცველი;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახიდან (ოთხი ან მეტი შვილი);

გ) მზრუნველობამოკლებული სტუდენტები (დედით და მამით ობოლი);

დ) სტუდენტი, რომელიც არის საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ან გარდაცვლილად გამოცხადებული, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის შვილი;

ე) სტუდენტები აქტიურ მოხალისეებად იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებულ პროგრამებში (ეკოლოგიის, გამწვანების, გაწმენდით და სხვა მოხალისეობრივ აქტივობებში);

ვ) მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები, რომელთა საერთო შეწონილი საშუალო ქულა შედგენს 81 (ოთხმოცდაერთი) ქულას.



პროგრამა განხორციელდა ორ ეტაპად, ივლისისა და აგვისტოს თვეში. თითოეულ ეტაპზე დასაქმდება 100 - 100 სტუდენტი, სულ 200 სტუდენტი. პროგრამის მონაწილეებს გადაეცათ მაისურები და კეპები, შესაბამისი წარწერითა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ლოგოს გამოსახულებით. პროგრამის განხორციელებისათვის ქ. ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო 85 000 (ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი.



9. ახალგაზრდული ცენტრი - ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების მიერ ინიცირებული პროექტების ფინანსური მხარდაჭერა. კონკურსის წესით ხდება საუკეთესო ინიციატივების შერჩევა. პრიორიტეტი ენიჭება ინოვაციურ და კრეატიულ პროექტებს. ქ. ბათუმის მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოიყო 64 000 ლარი.

პროგრამის ფარგლებში უკვე დაფინანსდა და განხორციელდა 5 სხვადასხვა პროექტი, რომელთა საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 33 256.8 (ოცდაცამეტი ათას ორასორმოცდათექვსმეტი ლარი და რვა თეთრი) ლარი.

ასევე, ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრის“ ფარგლებში გათვალისწინებულია ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება ახალგაზრდებისათვის (20 000 ლარი). **გადამზადდა 25 ახალგაზრდა, რომლებიც შეირჩა ქ. ბათუმში არსებული საჯარო სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან. ტრენინგ- სემინარის ორგანიზებისათვის გამოიყო 7 072,50 ლარი**





ჩართულობა, ინფორმირებულობა, ანგარიშვალდებულობა, გამჭვირვალობა

პროექტის დასახელება: USAID / „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში“


პროექტის მიზანი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტების საქმიანობის შიდა (თვითშეფასება) და გარე შეფასება / **საჯარო მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდის, სამთავრობო საქმიანობის ღიაობისა და ადგილობრივი მმართველობის ყველა ასპექტში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, სპეციალური კითხვარების საშუალებით.**

გამოკითხვა: სულ გამოკითხვებში მონაწილეობა მიიღო - 1 197 პირმა, ამათგან: შიდა შეფასებაში მონაწილეობა მიიღო - 226 პირმა (41 კითხვა); გარე შეფასებაში - 500 პირმა (72 კითხვა/ელექტრონული გამოკითხვა); ფოკუს ჯგუფში - 471 პირმა (16 კითხვა).

შედეგები: საბოლოო შედეგების მიხედვით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, შეფასების მაჩვენებლებით, კვლავაც აღიარებული იქნა, როგორც წარმატებული, ხოლო პრეზენტაციის ნაწილში - ერთერთი საუკეთესო.



დასაქმების მდგომარეობა:



ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება

